ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2023 წელი, 23 ოქტომბერი, №9 (6570)

უკანელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 60 თეთრი

„ღვინის დღეები“ ყვარელში

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივითა და მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით საქართველოში „ღვინის დღეები“ მეორე წელია ტარდება.

წელს 7-დან 15 ოქტომბრის ჩათვლით „ღვინის დღეები“ 23 მუნიციპალიტეტში გაიმართა.

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე

სასწავლო-შემეცნებითი უნარების გარდა, საჭიროა შემოქმედებითი, კრეატიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და განვითარება...

„საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის „ჯილდო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივით დაწესდა. წლის ბოლომდე ყველა რესურსცენტრი წარადგენს იმ ადამიანებს, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ამ პროფესიის წინაშე.

ქალბატონი თინა ნაზრიშვილი 40 წელია, რაც პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა. შემოქმედებითი, შრომისმოყვარე და ღვაწლმოსილი პედაგოგი, რომელმაც საკუთარი მოსწავლეების სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, ამასთან ერთად გახდა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის ჯილდოს მფლობელი.

– ქალბატონო თინა გილოცავთ დამსახურებული მასწავლებლის წოდებას. ფასდაუდებელია თქვენი წვლილი, რომელიც შეგაქვთ მომავალი თაობების სწავლისა და აღზრდის საქმეში, გისურვებთ კვლავაც მრავალი თაობა აღგეზარდოთ ჩვენი მუნიციპალიტეტის და სამშობლოს სასახელო შვილებად.რა განცდა გქონდათ, როდესაც ეს წოდება მიიღეთ?

– გმადლობ.

ეს ჩემთვის იყო სასიამოვნო და მოულოდნელი სიურპრიზი. ძალიან ამაღელვებელი იყო ჩემი სახელის და გვარის დასახელება. რა თქმა უნდა, ეს მოტივაციაა ჩემი შემდგომი მუშაობისთვის. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ლეილა ქოჩორაშვილს და რესურსცენტრის ხელმძღვანელს ქალბატონ ქეთევან ჭიპაშვილს ჩემი წარდგენისთვის.

– რა კრიტერიუმით ხდება დამსახურებული მასწავლებლის სიგელის მინიჭება?

– პირველ რიგში უნდა გიყვარდეს შენი პროფესია და გქონდეს პასუხისმგებლობა. მოგეხსენებათ, შეიცვალა მიდგომები, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომელიც

გაგრძელება მე-3 გვ.-ზე

ბესიკის ქუჩაზე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დასრულების ფაზაშია

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი გივი ზაუტაშვილი და მოადგილე გიორგი ქოქიაშვილი, ქ. ყვარელში, ბესიკის ქუჩაზე ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაეცნენ.

ქ. ყვარელში, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, ბესიკის ქუჩაზე საცხოვრებელი კორპუსების შიდა ეზოების მოასფალტების სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 234 830 ლარს შეადგენს.

ასევე, ქ. ყვარელში, ბესიკის ქუჩაზე, მიმდინარეობს სკვერის მოწყობის სამუშაოები. პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 250 000 ლარს.

ჩემი აზრით, მუსიკალური განათლება პრიორიტეტული უნდა იყოს ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში...

უძველეს ხელნაწერებშიც კი შეგვიძლია წავიკითხოთ მუსიკის მნიშვნელოვან როლზე პიროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში: „მუსიკალური აღზრდა ყველაზე ძლიერი იარაღია, რამეთუ რითმი და ჰარმონია აღწევს ყველაზე დაცულ, სიღრმისეულ და იდუმალ ადგილებს ადამიანის სულში“.

მრავალი ათეული წელი ბავშვების მუსიკალურ აღზრდას ემსახურება ყვარლის სამუსიკო სკოლა, რომელმაც არსებობის მანძილზე არაერთხელ დაამტკიცა, რომ კვალიფიციური პედაგოგებისგან შემდგარი გუნდია და მრავალ წარმატებას მიაღწია.

ახალი სასწავლო წელიც ახალი შემართებით და საინტერესო იდეებით დაიწყო. როგორც ყვარლის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანების დირექტორი ნათია სეფაშვილი იმედოვნებს, მიმდინარე წელიც ისეთივე წარმატებული იქნება, როგორც გასული წელი იყო:

– გასული სასწავლო წელი რომ შევაჯამოთ თამამად შეგვიძლია ვთქვათ – საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა ჩვენი სამუსიკო სკოლების ცხოვრებაში. ყვარლის და შილდის სამუსიკო სკოლებმა მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა კონკურსებში. მათ შორის შალვა დავითაშვილის სახელობის „საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მე-7 ეროვნულ კონკურსში“ და „მომავლის ვარსკვლავები“, სადაც ლაურეტის წოდება და დიპლომები დაიმსახურეს. კონკრეტულად ყვარლის სამუსიკო სკოლის გაერთიანებულმა გუნდმა (ხელმძღ: გულიზა ტორაძე. კონცერტმეისტერი: თეა თეთრაშვილი) მიიღო I ხარისხის დიპლომი, რომელიც გადაეცათ კონსერვატო-

გაგრძელება მე-3 გვ.-ზე

კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრის ღონისძიება ყვარელში

კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრი 2022 ივნისიდან ახორციელებდა პროექტს „თანაბარი შესაძლებლობები ბავშვებს“, რომლის ფარგლებშიც ყვარლის მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს რეაბილიტაცია-აბილიტაციის ცენტრი. 2023 წლის აპრილიდან კი ცენტრი გახდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბავშვთა რეაბილიტაცია-აბილიტაციის ქვეპროგრამის მიმწოდებელი. 2022 წლის დეკემბრიდან კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრი ყვარლის მუნიციპალიტეტში ამავე სამინისტროს ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის მიმწოდებელი ორგანიზაცია გახდა. ცენტრი კომპლექსურად მუშაობს ბავშვებისა და ოჯახების მხარდაჭერის მიმართულები, რაც გულისხმობს უშუალო თერაპიებს ბავშვებთან და ოჯახების ცნობიერების ამაღლებას პოზიტიური მშობლობის საკითხებში.

ცენტრმა საკუთარი საქმიანობისა და მიღწეული შედეგების შესახებ მერისა და საკრებულოს წარმომადგენლებს ანგარიში წარუდგინა.

შეხვედრას ესწრებოდნენ ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი გივი ზაუტაშვილი, მერის მოადგილე გიორგი ქოქიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

...მეღვინეობა მხოლოდ ერთი თაობის საქმიანობა არ არის, ის ისტორიულად ჩვენი კულტურის ნაწილია და ტრადიციული დარგის განვითარებას მცოდნე და მონდომებული ახალგაზრდები სჭირდება

ქართული ღვინო ისტორიით ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. არქეოლოგების მიერ ნაპოვნი ყველაზე ადრეული ნიშნები მევენახეობისა და ღვინის წარმოებაზე მიუთითებს დაახლოებით 8 ათასი წლის წინ, რაც საქართველოს ღვინის სამშობლოს სტატუსს ანიჭებს.

ვაზის კულტურასთან არის დაკავშირებული ქრისტიანობის გავრცელებაც საქართველოში. როცა წმინდა ნინომ, საკუთარი თმით ვაზისგან შეკრა ჯვარი და იმით უქადაგა ქართლოსის ნათესავთ ქრისტეს რჯული. აღსანიშნავია, რომ საქართველოს გარდა, არც ერთ ქრისტიანულ ქვეყანაში არ არსებობს „ვაზის ჯვრის კულტი“.

მსოფლიო მასშტაბით უკანასკნელ პერიოდში მკვეთრად იზრდება ნატურალურ ანუ ბიოპროდუქტებზე მოთხოვნილება და რა თქმა უნდა, განსაკუთრებით ღვინოზე.

უკვე რამდენიმე წელია, რაც ქართული მეღვინეობის დარგში ახალი მიმართულება – „ნატურალური მეღვინეობა“ გამოჩნდა და სულ უფრო და უფრო პოლულარული ხდება.

გაგრძელება მე-4 გვ.-ზე

„ღვინის დღეები“ ყვარელში

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

8 ოქტომბერს „ღვინის დღეებს“ ყვარელში, კახეთის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ალადაშვილი, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი გივი ზაუტაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ილია მზექალაშვილი, მოწვეული სტუმრები, უცხოელი ვიზიტორები და ადგილობრივი მოსახლეობა ესწრებოდა. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის ეზო თემატურად იყო გაფორმებული. მოეწყო შემოდგომის, ვაზის და ღვინის თემატიკის პავილიონები და ფოტოზონები. ტერიტორიაზე მოსული სტუმრებისთვის გაიმართა სხვადასხვა შემეცნებითი და გასართობი ღონისძიება. გაიმართა საუბრები ღვინის ისტორიაზე და მის მნიშვნელობაზე. ყველას ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდა და დაეგემოვნებინა ადგილობრივ მეწარმეთა პროდუქცია.

„ღვინის დღეები“ და მსგავსი ფესტივალები ხელს უწყობს როგორც საერთაშორისო ასევე ადგილობრივი ტურიზმის განვითარებას.

რაც გამოიხატება იმაში, რომ ფესტივალს ესწრებოდნენ მოგზაურები როგორც სხვადასხვა ქვეყნებიდან, ასევე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსულ სტუმრები.

ფესტივალზე ტრადიციულ კერძებთან ერთად ქვევრში დაყენებული ღვინო, დიდი და მცირე მარნების მიერ წარმოებული სხვადასხვა ტიპის, სხვადასხვა ფერისა და ასაკის ღვინო, ჭაჭასა და სხვა სასმელები იყო წარმოდგენილი.

კუთხე და კვების ზონა. გაიმართა საუბრები ღვინის ისტორიაზე და მის მნიშვნელობაზე.

ღვინის დღეები ყვარელში კონცერტით დასრულდა, რომელშიც მონაწილეობდნენ: „ჩვენი კვარტეტი“ და „გაგა ფრანი“.

ია გიგიაშვილი



სასწავლო-შემეცნებითი უნარების გარდა, საჭიროა შემოქმედებითი, კრეატიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და განვითარება...

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

პედაგოგებს დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს. ბავშვები არ კმაყოფილდებიან მხოლოდ საგაკვეთილო პროცესით. სასწავლო შემეცნებითი უნარების გარდა, საჭიროა შემოქმედებითი, კრეატიული უნარ–ჩვევების ჩამოყალიბება და განვითარება, კრიტიკული აზროვნების, ღირსეული, პატრიოტი და თავისუფალი მოქალაქეების აღზრდა. ამ მნიშვნელოვანი სტრატეგიების განვითარებაში მეხმარება კლასგარეშე მუშაობა საგაკვეთილო პროცესების გარდა. ვაკეთებთ პროექტებს, ვატარებთ ღონისძიებებს და აქტიურად ვართ ჩაბმულები რესპუბლიკური მნიშვნელობის კონკურსებსა თუ პროექტებში.

– როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია ეს ჯილდო პედაგოგისთვის?

– რა თქმა უნდა, წარმატება იოლად არ მოდის. 40 წელია, რაც სკოლაში ვარ. წარმატების ფორმულა დინამიურ შრომასა და მუდმივად სტარტზე დგომას მოითხოვს და მეც მუდმივად სტარტზე ვდგავარ.

როცა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდებას განიჭებენ, ძალიან დიდი წარმატებაა პედაგოგისთვის. შენ ხარ გამორჩეული და წარმატებული, რაც უფრო დიდი პასუხისმგებლობის წინაშე გაყენებს. არასოდეს არ უნდა დააყენო ასეთი უზარმაზარი წარმატება კითხვის ნიშნის ქვეშ და გაორმაგებული ენერგიით უნდა იმუშაო.

– როგორ დაიწყო თქვენი პედაგოგიური საქმიანობა?

– ბავშვობიდან მიზიდავდა პედაგოგობა და ინოვაციური იდეები. ეს კი ძალიან კარგი ტანდემია წარმატებისთვის. არასოდეს არ მიფიქრია სხვა პროფესიაზე. პედაგოგობა რთული პროფესიაც არის და საინტერესოც. ჩემი აზრით, რაც უფრო რთულია პროფესია, მით უფრო საინტერესოა. 23 წლის ასაკში დავიწყე მუშაობა და დღემდე სკოლაში ვარ.

– როგორი პროფესიაა მასწავლებლობა, თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს პედაგოგი, რომელიც ბავშვების სიყვარულს იმსახურებს?

– მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგობა ძალიან რთული და საპასუხისმგებლო პროფესიაა, თავიდან რომ ვიწყებდე პროფესიის არჩევას, კვლავ პედაგოგობას ავირჩევდი.

მასწავლებლის ერთმა სიტყვამ შეიძლება ბავშვის მომავალზე დიდი გავლენა მოახდინოს. ამიტომ დიდი სიფრთხილეა საჭირო მათთან ურთიერთობაში. საგაკვეთილო პროცესი უნდა იყოს საინტერესო, უნდა იყოს ძალიან თბილი და ყურადღებიანი ბავშვების მიმართ. ბავშვი უნდა მიხვდეს, რომ მასწავლებელს უყვარს და მასზე ზრუნავს. ამ სტანდარტების გათვალისწინებით ბავშვებისთვის საგაკვეთილო პროცესი ყოველთვის საინტერესო იქნება.

ბავშვებს რომ უყვარდე, ძალიან დიდი ძალისხმევა ჭირდება მასწავლებელს. განათლების თანამედროვე სტანდარტები ამის საშუალებას გაძლევს. გარდა იმისა, რომ შენი საგნის მიმართ ინტერესი უნდა ჰქონდეთ, აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი ბავშვები შესაძლებლობის მიხედვით კლასგარეშე მუშაობაში. უნდა აგრძნობინო, რომ პიროვნებაა, სიყვარულს და პატივისცემას გამოხატავ მათ მიმართ, კლასში რომ შეხვალ, სიყვარულით სავსე თვალებით უნდა გიყურებდნენ, მე ამას ყველაფერს ვგრძნობ. მეც მიყვარს ისინი და მათაც ვუყვარვარ.

– რა რჩევებს მისცემთ ახალგაზრდა პედაგოგებს?

– მიხარია, რომ სკოლაში ბევრი ახალგაზრდა პედაგოგი შემოვიდა და საკმაოდ კარგი კონტიგენტი. მათ ვურჩევდი, რომ ყოველთვის იყვნენ ახლის ძიებაში. პედაგოგობა რთული პროფესიაა და შესაბამისად პრობლემებიც იქნება, მასწავლებელმა გამოსავალი თვითონ უნდა მოძებნოს და მოერგოს სიტუაციას.

ესაუბრა
ია გიგიაშვილი

ჩემი აზრით, მუსიკალური განათლება პრიორიტეტული უნდა იყოს ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში...

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

რიის საკონცერტო დარბაზში გამართულ გალა-კონცერტზე.

საამაყო და სასიხარულოა, რომ ჩვენმა გუნდმა ჟიურის წევრების; კახა ცაბაძის და რუსუდან ხორავას განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა, მათი ნაწარმოებების საუკეთესო შესრულებისთვის.

სამუსიკო სკოლებში წელსაც ტრადიციულად, გამოვაცხადეთ მოსწავლეთა მიღება როგორც საფორტეპიანო, ისე საიოლინო განყოფილებაზე.

საკმაოდ ბევრი მსურველი აღმოჩნდა წელს ყვარლის მუნიციპალიტეტის ყველა სამუსიკო სკოლაში – ყვარელში, ახალსოფელში, ჭიკაანში, შილდაში და გავაზში.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი პედაგოგები თავდაუზოგავად ემსახურებიან ბავშვთა მუსიკალურ აღზრდას და წარმატებებსაც აღწევენ. მჯერა, წინ კიდევ მრავალი წარმატება გველის. ეს წარმატებები თავის მხრივ დიდ დაინტერესებას იწვევს ახალ თაობაში და მუსიკალური განათლების მიღების სურვილს უფრო მეტ ბავშვს უჩენს, რაც რა-თქმაუნდა, მისასალმებელია. ჩემი აზრით, მუსიკალური განათლება პრიორიტეტული უნდა იყოს ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში, რადგან მუსიკის დადებითი როლის შესახებ ადამიანის სულიერი აღზრდის, ინტელექტუალური განვითარების და გემოვნების ჩამოყალიბების პროცესში მეცნიერული დასაბუთებაც კი არსებობს. ე.ი. თუ ყველა ბავშვი მუსიკოსი ვერ გახდება, მაგრამ თვითოეული მათგანის ცხოვრებაში, მათ განვითარებაში და პიროვნებად ჩამოყალიბებაში უთუოდ სასარგებლო კვალს დატოვებს მუსიკალური განათლება.

აღსანიშნავია, რომ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის მხარდაჭერა, რასაც ყოველთვის ვგრძნობთ ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხრიდან, რისთვისაც მადლობას ვუხდით ყვარლის მუნიციპალიტეტის მერს გივი ზაუტაშვილს და საკრებულოს თავჯდომარეს ილია მზექალაშვილს.

ია გიგიაშვილი

სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

10 ოქტომბერი 2023

NCDC 6 23 00000126

ქ.თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

გრიპის სეზონურ ვაქცინაციას დაქვემდებარებული რისკის და სპეციფიური პრიორიტეტული ჯგუფების წუსხისა და ვაქცინაციის ჩატარების წესის შესახებ

„2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის №609 დადგენილების დანართი 2-ის (იმუნიზაცია - პროგრამული კოდი **27 03 02 02**) მე-9 მუხლის მე-16 პუნქტის და "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

2023–2023 წლების სეზონისთვის, ჯანმოს რეკომენდაციების გათვალისწინებით დამტკიცდეს:

1. 2023-2024 წლების გრიპის სეზონურ ვაქცინაციას დაქვემდებარებული რისკის და სპეციფიური პრიორიტეტული ჯგუფები:

ა) სპეციფიკური ქრონიკული დარღვევების მქონეთაგან:

ა.ა) დიაბეტის მქონე პირები;

ა.ბ) დიალიზზე მყოფი პირები;

ა.გ)C ჰეპატიტის მქონე პირები (მხოლოდ მკურნალობაზე მყოფნი)

ა.დ) აივ ინფექცია/შიდსის მქონე პირები;

ა.ე) ორგანოგადანერგილი და მუკოვისციდოზის დაავადების მქონე პირები;

ბ) სხვა პრიორიტეტული ჯგუფები:

ბ.ა) ბავშვთა (მ.შ. მცირე საოჯახო ტიპის) და მოხუცთა თავშესაფრების ბენეფიციარები და მათი მომვლელი პერსონალი;

ბ.ბ) ორსულები;

ბ.გ) 60 წლის და უფროსი ასაკის ხანდაზმული პირები;

ბ.დ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (სკოლები) პედაგოგები;

ბ.ე) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მის კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები;

ბ.ვ) მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრების თანამშრომლები;

გ) "სავალდებულო პროფილაქტიკურ იმუნიზაციას დაქვემდებარებულ საქმიანობათა ნუსხის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 22 იანვრის N 01/ - 6/ნ ბრძანებით განსაზღვრული სავალდებულო იმუნიზაციას დაქვემდებარებული პროფესიული ჯგუფები:

გ.ა.) ჯანმრთელობის დაცვის პერსონალი:

გ.ა.ა.) ექიმები;

გ.ა.ბ.) ექიმი-რეზიდენტები;

გ.ა.გ.) ექთნები (მ.შ. უმცროსი ექთნები, ექთნის თანაშემწეები);

გ.ა.დ.) საექიმო და საექთნო საქმის პროფესიული პრაქტიკის სტუდენტები;

გ.ა.ე.) ბებიაქალები;

გ.ა.ვ.) სტომატოლოგები;

გ.ა.ზ) სტომატოლოგის ასისტენტები, სტომატოლოგიის ექთნები;

გ.ა.თ) სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული სხვა პერსონალი, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ პაციენტებთან;

გ.ა.ი) სამედიცინო დიაგნოსტიკური ლაბორატორიის და პათოლოგანატომიური სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების თანამშრომლები, რომლებსაც უშუალო შეხება აქვთ ბიოლოგიურ მასალასა და პაციენტებთან;

გ.ბ.) ვეტერინარიასა და გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე პერსონალი:

გ.ბ.ა.) ფრინველებთან მომუშავე პერსონალი;

გ.ბ.ბ.) მეცხოველეობაში დასაქმებულები/ფერმების თანამშრომლები;

გ.ბ.გ)მონადირეები;

გ.ბ.დ.) ვეტერინარები;

გ.ბ. ე) ვეტერინარული ლაბორატორიის თანამშრომლები;

გ.გ.) სხვა პროფესიული საქმიანობის ჯგუფი:

გ.გ.ა.) ადრეული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მომსახურე კონტინგენტი;

გ.დ) თავდაცვის, უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამსახურის თანამშრომლები:

გ.დ.ა.) საერთაშორისო სამშვიდობო მისიაში წამსვლელი სამხედრო მოსამსახურეები;

გ.დ.ბ.) სამხედრო სავალდებულო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები;

გ.დ.გ.) საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) კურსზე ჩარიცხული სამხედრო მოსამსახურეები;

გ.დ.დ.) სამხედრო სამედიცინო გვარეობის საშტატო თანამდებობაზე მომუშავე სამედიცინო პერსონალი, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ პაციენტებთან.

გ.ე.) პენიტენციურ დაწესებულებაში მომუშავე პერსონალი;

გ.ე.ა.) პატიმრობის დაწესებულება,

გ.ე.ბ.) თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება,

გ.ე.გ.) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება.

გ.ვ) შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები;

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირთა ვაქცინაციის ჩატარების თანდართული წესი.

3. ქვეყნის მასშტაბით გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია დაიწყოს 2023 წლის 16 ოქტომბერს.

4. დაევალოს ცენტრის იურიდიულ სამმართველოს (ლ.ებანოიძე) უზრუნველყოს ამ ბრძანების გამოქვეყნება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე www.ncdc.ge.

5. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
თამარ გაბუნია

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

...მეღვინეობა მხოლოდ ერთი თაობის საქმიანობა არ არის, ის ისტორიულად ჩვენი კულტურის ნაწილია და ტრადიციული დარგის განვითარებას მცოდნე და მონდომებული ახალგაზრდები სჭირდება

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

ნატურალური მეღვინეობის მიმართულებაში არსებობს ერთი ასეთი პრინციპი: „ღვინოს არაფერი არ უნდა ჩაემატოს და არაფერი არ უნდა ამოაკლდეს“. ამ პრინციპის დასაცავად საჭიროა ბუნების, ნიადაგის, ღვინის ჭურჭლის, ვენახისა და ღვინის ხასიათის კარგად ცნობა და ცოდნა. ამ ყველაფერს ემატება ცოტა ისტორია, ცოტა გეოგრაფია, ცოტა ენოლოგია, ცოტა ბიოლოგია, ცოტა ასტრონომია, ბევრი შრომა... და შედეგად ხელთა გვაქვს ნატურალური, როგორც ილია ჭავჭავაძე უწოდებდა „ბუნებური“ ღვინო.

შევხედოთ ნატურალურ ღვინოს სამი მხრიდან: ვენახი, ღვინის დაყენების მეთოდი და მისი ბოთლებში ჩამოსხმის პროცესი. ნატურალური მეღვინეობის შემთხვევაში მეურნე ითვალისწინებს: ვაზის მოვლისა და მისი წამლობის საკითხებს, ასევე ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-შენარჩუნებისა და მისი დამუშავების წესებს. ამ მიმართულების მიმდევრები ვენახში მინერალურ სასუქებსა და ჰერბიციდებს არ გამოიყენებენ, ამასთან ისინი ნიადაგის ხშირ (და უმიზეზო) მოხვნა-კულტივაციას ერიდებიან, ხოლო ზოგიერთები, საერთოდ არ მიმართავენ ვენახების ნიადაგის დამუშავებას.

ნიადაგის ნაყოფიერების დასაცავად თუ აღსადგენად ვენხში შესაძლებელია: ორგანული სასუქების, სხვადასხვა სახის კომპოსტის, ბიოჰუმუსის, ტორფის, მცენარეული ნაყენების, ქვის ფქვილისა და ნაცრის გარკვეული რაოდენობით შეტანა. ეს ოპერაცია ხორციელდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დადგინდება, რომ ვენახში ამის საჭიროება ნამდვილად დგას. ასევე შესაძლებელია სიდერაციის მეთოდის გამოყენება და პარკოსანი მცენარეების შეთესვაც.

ამ შემთხვევაში მეტად სასარგებლო მეთოდად ითვლება, მაგალითად, შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ვენახებში ცხვრის ფარის შეშვება. ცხვარი ვენახის ნიადაგს ანოყიერებს, ამასთან სარეველებსაც მნიშვნელოვნად ამცირებს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ნატურალურ მეღვინეობაში სარეველების შემცირება თვითმიზანს ნამდვილად არ წარმოადგენს, რადგან ასეთ ვენახში ყოველ მცენარეს თავისი მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს. ამასთან, სარეველებზე ვაზის მავნებლების ბუნებრივი მტრები – სასარგებლო მწერებიც სახლდებიან, რომლებიც ებრძვიან და ანადგურებენ ვაზის მავნებლებს და ამრიგად ვენახში თანდათანობით მყარდება ბუნებრივი ბალანსი.

ვაზის მავნებლების ბუნებრივი მტრების, ანუ სასარგებლო მწერების მოსაზიდად ხშირად ვენახში სპეციალურად მომზადებულ ყუთებსაც დგამენ, სადაც სახლდებიან სასარგებლო მწერები. გარდა ამისა, ამგვარ ვენახებში ხშირად შევხვდებით სპეციალურად დადგმულ ჩიტის ბუდეებსაც, რადგან ჩიტები ვაზის ზოგიერთ მავნებლებს საგრძნობლად ანადგურებენ. მისასალმებელია, რომ ამგვარი პრაქტიკა უკვე საქართველოშიც ინერგება („ხოხბის ცრემლები“, „ჯაყელების ღვინო“...)

უნდა აღინიშნოს, რომ ვენახებში სარეველების არც აბსოლუტურად უკონტროლობაა სავალდებულო. სწორედ ამიტომ, როდესაც ვენახში სარეველა მცენარეების სიმაღლე იმ დონეს მიაღწევს, რომელიც ვაზთან მუშაობას აფერხებს, ბალახი ითიბება. გათიბვა სიტუაციის მიხედვით, შესაძლოა განმეორდეს. (ზოგიერთები გათიბულ ბალახს ვენახშივე ტოვებენ). მცენარეების როლი ასევე დიდია ვენახის ნიადაგის სიცოცხლისუნარიანობისთვისაც.

ნატურალურ, ბიოპროდუქტს აწარმოებენ სოფ. საბუეში „საოჯახო მეღვინეობა ბეგასო“. მათი საქმიანობის გაცნობის მიზნით დავუკავშირდი ამ კომპანიის წარმომადგენელს ერეკლე ბეჟიტაშვილს და ვთხოვე ინტერვიუს ჩაწერის მიზნით დრო გამოენახა.

– ბატონო ერეკლე, რატომ გადაწყვიტეთ ბიოპროდუქტის მოყვანა, ეს საქმიანობა ხომ უამრავი პრობლემის წინაშე გაყენებთ?

– გამარჯობა, მივესალმები მკითხველს, თუ ნებას მომცემთ დავიწყებ ცოტა შორიდან, რატომ გადავწყვიტეთ ღვინის წარმოება, შემდეგ უკვე რატომ ბიო სერთიფიცირებული ღვინო. „საოჯახო მეღვინეობა ბეგასოს“ ისტორია 2015 წელს იწყება როდესაც გადავწყვიტეთ აღგვედგინა ჩვენი დიდი პაპის ლუკა მოსულიშვილის საქმიანობა, შევიძინეთ ნაკვეთი სოფელ შილდაში. მეღვინეობის სულის ჩამდგმელი მამიდაჩემი და მამაჩემია. ენთუზიაზმი ოჯახის სხვა წევრებსაც გადმოგვედო და ძალიან მალე უკვე ორი თაობა გავერთიანდით ღვინის წარმოების ერთმანეთისგან განსხვავებული ხედვით. სწორედ ამ განსხვავებულმა ხედვამ გაგვაერთიანა უკვე „ბეგასოში“. მამაჩემი როგორც ყველა მისი თაობის ქართველი ქვევრის ღვინის დამფასებელია, ჩვენ ახალგაზრდებს, ახალ თაობას მეღვინეობაში მე და ჩემი ძმა წარმოვადგენთ, შედარებით მჟავიანი ღვინო მოგვწონს. გადავწყვიტეთ დაგვეყენებინა ტრადიციული, კახური, ქვევრის ღვინო სრულ ჭაჭაზე ცოტა მეტი მჟავიანობით. ჩვენი ქვევრები იმერული, „საწაბლედან“. „საწაბლეს“ ქვევრებს შედარებით ნაკლებფორიანობა ახასიათებს რაც ღვინისთვის ხალასი გემოს შენარჩუნებაში გვეხმარება, ასე ვთქვათ ამ ფილოსოფიით შეიქმნა „ბეგასო“. რაც შეეხება ბიო ან ნატურალურ მეღვინეობას, ტექნოლოგიურ და ორგანოლეპტიკურ უპირატესობებს რომ თავი დავანებოთ, ვიტყოდი წარმოების ეს მეთოდი მეტად ქართულია და ჩვენთან ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს, მოგეხსენებათ ილია ჭავჭავაძე და მისი ნაშრომი „ღვინის ქართულად დაყენება“, რაც ჩვენთვის „ნატურალისტებისთვის“ სახელმძღვანელოა.

– რამდენ ჰექტარზე გაქვთ გაშენებული ვენახი და დაავადებებს როგორ ებრძვით, კონკრეტულად რამდენჯერ ატარებთ წამლობას და რომელ პრეპარატებს იყენებთ?

– 20 ჰექტარზე გვაქვს 6 სხვადასხვა ჯიში გაშენებული, თეთრი ჯიშებიდან გვაქვს ქისი, ხიხვი, კახური მწვანე და რქაწითელი. ასევე გვაქვს საფერავი და ვარდიფერი რქაწითელი.

დაავადებებს ებრძვით მარტივად, წამლობებით და აგრო ღონისძიებებით. ნატურალურ მეღვინეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს სავენახე ადგილს. მოგეხსენებათ, სავენახე ადგილის“ მცენებას დიდი ისტორია აქვს საქართველოში, როდესაც მეურნე ძალიან ბევრი გარე ფაქტორის გათვალისწინებით არჩევდა მიწას, მე მხოლოდ რამოდენიმეს ჩამოვთვლი. სოკოვანი დაავადებებისგან თავის ასარიდებლად მნიშვნელოვანია ვენახის განიავება და ნიადაგის გარკვეული დონეზე ტენიანობა, ასევე სიმაღლე ზღვის დონიდან. „ბეგასოს“ ვენახი სოფელ შილდაში ეგრედწოდებულ „დუბეს“ მიწაზე (ტერუარზე) მდებარეობს ზღვის დონიდან 350-360 მეტრზე, ვენახი კარგად ნიავდება, ეს ყველაფერი კი გვეხმარება სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად. რაც შეეხება წამლობების რაოდენობას, ჩვენ რაიმე მკაცრად გაწერილი გეგმა არ გვაქვს, შეიძლება ითქვას საჭიროებისამებრ, მაგრამ ჩვენი წამლობები უფრო საპრევენციოა ვიდრე სამკურნალო, ვთანამშრომლობთ „ბიოაგროსტანთან“ ვენახის გაშენების დღიდან. ბიოსერტიფიცირებულ მევენახეობაში გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს ვენახში მიკროგარემოს შექმნას, სადაც მავნებლები მათი მტაცებელი ბუნებიდან გამომდინარე თავადვე დააბალანსებენ გარემოს, ვიდრე მაგალითად 20 ჯერ შევწამლოთ და თითქოს მშვიდად ვიყოთ, მემამულის თუ მევენახის ამოცანაც სწორედ ეს არის იპოვოს ბალანსი საკუთარ ნაკვეთზე.

– ვენახის საჰექტარო მოსავლიანობით თუ ხართ კმაყოფილი?

– ვართ კმაყოფილი, აქ მთავარი ჩვენი მოლოდინებია.

მინერალური სასუქებიდან აზოტის თუ კალიუმის შეტანა მკაცრად კონტროლდება, პრინციპში ეს მაშტაბები „ნატურალისტებისთვის“ არ არის საინტერესო. ნატურალურ მეღვინეობაში საბოლოო პროდუქტი ღვინო და მისი მდგრადობაა და არა მხოლოდ ყურძნის რაოდენობა, ამგვარი მახასიათებელი 30 ტონა საჰექტარო მოსავლიანობით ვერ მიიღწევა, რაც ყველაზე მთავარია მცენარესაც უსაპობს სიცოცხლის ხანგრძლივობას.

– ნატურალური მეღვინეობის მიმართულებაში, ნიადაგის ნაყოფიერების დაცვისა და ამაღლების მიზნით, არსებობს ერთი მთავარი წესი – ნიადაგში უნდა დამყარდეს ბუნებრივი ბალანსი და იგი დამოკიდებული არ უნდა იყოს „მუდმივ ქიმიურ კვებაზე“. ამისათვის კი მეურნე კარგად უნდა იცნობდეს საკუთარ ვენახს და ასევე ნიადაგს, რომელზეც ვაზია გაშენებული. ნიადაგის ავკარგიანობაზე თავად ის მცენარეული საფარიც მეტყველებს, რომელიც ვენახშია გავრცელებული. ამ მხრივ გამოცდილი კაცი ვენახში გავრცელებული მცენარეების მიხედვით მაშინვე მიხვდება, რამდენად შეეფერება ესა თუ ის ნიადაგი ვაზის კულტურას; როგორია მისი „Ph“, რა და რა კომპონენტებითაა ნიადაგი მდიდარი ან ღარიბი და სხვა.

– თქვენ როგორ საზღვრავთ ნიადაგის ნაყოფიერებას და რა სახის სასუქებს იყენებთ?

– მართალია გარკვეული მცენარეების სიმრავლე მნიშვნელოვანია სავენახე ადგილის შერჩევისას, ერთი ასეთი მცენარე ყაყაჩოა რასაც ჩვენი წინაპრები მნიშვნელობას ანიჭებდნენ. რაც შეეხება მცენარის კვებას, უპირატესობას ფოთლოვან კვებას ვანიჭებთ, მარტივად შეიწოვება და სწრაფი შედეგი აქვს. განსაკუთრებით მნიშვნელვანია ამგვარი მოდელი ყვავილობისწინა სტრესების ან ქლოროზის დროს, უნდა აღინიშნოს თითოეული ვენახი ინდივიდუალურია და სათანადო მიდგომას საჭიროებს.

ბოლო პერიოდში, ჩვენში, სამწუხაროდ, დამკვიდრდა ვენახებში სარეველების წინააღმდეგ ჰერბიციდების გამოყენება. უნდა ითქვას, რომ ეს მეთოდი სხვა არაფერია, თუ არა ვენახის ნიადაგისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანა და მისი ლიკვიდაცია! ჰერბიციდებისა და მინერალური სასუქების, ხშირ შემთხვევაში ყოვლად გაუაზრებელი გამოყენებით ნიადაგი დეგრადირებს და მისი სიცოცხლისუნარიანობა სულ უფრო და უფრო კლებულობს. საბოლოოდ კი ნიადაგი „კვდება“. აღსანიშნავია, რომ ნატურალური მეღვინეობის მიმართულების თავი და თავი სწორედ ისაა, რომ აღდგენილ და შენარჩუნებულ იქნეს ნიადაგის სიცოცხლისუნარიანობა და, აქედან გამომდინარე, საბოლოოდ მივიღოთ არა „ქიმიური სითხე“, არამედ ბუნებრივი, ცოცხალი პროდუქტი, რომელსაც მხოლოდ ცოცხალი ნიადაგი და ჯანსაღი მცენარე იძლევა.

– თქვენ რა სახის ღონისძიებებს ატარებთ?

– გეთანხმებით, ცუდი პრაქტიკაა, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს ნელ-ნელა მეტი ადამიანი ინტერესდება ნატურალურ ან ბიო ვენახებში დანერგილი მეთოდიკით, რაც ნაკვეთის ეგრედწოდებულ „დაყამირებას“ ან მხოლოდ თიბვას მოიაზრებს, რასაკვირველია აქაც მიდგომა ინდივიდუალურია და თითოეულ ნაკვეთზე ინდივიდუალურად უნდა შეირჩეს.

– რაც შეეხება ნატურალური ღვინის დაყენების მეთოდს და მის ჭურჭელს, ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს, მეღვინეობის ყველა ჭურჭლეულსა და მეთოდებს შორის, ალბათ, ყველაზე უფრო ქართული ქვევრი და ღვინის ქართულად დაყენების მეთოდი მიესადაგება. თუმცა, ნატურალური ღვინის დაყენება, არა მხოლოდ ქვევრში, არამედ ყველა სახის საღვინე ჭურჭელში, ამასთან სხვა მეთოდებითაცაა შესაძლებელი, მაგრამ ქართული ქვევრი ნამდვილად გამორჩეული ჭურჭელია და მას ცალსახად შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა როგორც კონკრეტულად ამ საქმეში, ისე ზოგადად ღვინის ქართულად დაყენების სფეროში.

– თქვენ რომელ მეთოდს იყენებთ?

– გეთანხმებით, არ არსებობს რაიმე მეცნიერული დასკვნა, რაც რომელიმე ჭურჭლის უპირატესობას დაამტკიცებს, მაგრამ მე ქვევრის ღვინის მწარმოებელი ვარ და ქვევრის მიმართ სუბიექტურად ვარ განწყობილი, რასაკვირველია მაქვს უამრავი

სუბიექტური მიზეზი, თუ რატომ შეიძლება ჩაითვალოს ქვევრი განსაკუთრებულ ჭურჭლად.

– ნატურალურ ღვინოში გოგირდოვანი ანჰიდრიდის გამოყენების მიმართ ვხვდებით აზრთა გარკვეულ სხვადასხვაობას, მაგრამ დარგის მიმდევართა აბსოლუტური უმრავლესობა იმ აზრზე და პრინციპზე მაინც ცალსახად დგას, რომ გოგირდის გამოყენების შემთხვევაში გამოყენებული იქნეს მისი მხოლოდ მინიმალური („მიკრო“) დოზები და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს ამის გარდაუვალობა. თქვენ თუ იყენებთ?

– მოდით ასე შევხედოთ ამ საკითხს, რასაკვირველია საკითხი უფრო მეტად ფილოსოფიურია ვიდრე მკაცრად სამეცნიერო, ამასთანავე გოგირდის დასაშვები ზღვარი ღვინის სტილის და საექსპორტო ქვეყნის შესაბამისად იცვლება. გოგირდის მინიმალურ დონეზე გამოყენებას არც ბიო სერტიფიცირება ან თუნდაც „ნატურალური ღვინის“ რეგლამენტი კრძალავს, საქართველოში „ნატურალური ღვინის“ რეგლამენტი არ გვაქვს, ასეთი წესდება მხოლოდ საფრანგეთს აქვს ისიც სულ რამოდენიმე წლის წინ დანერგილი. ქართველი „ნატურალისტებიც“ ამ რეგლამენტით ვხელმძღვანელობთ, ერთ-ერთი პუნქტი ამ რეგლამეტში არის ღვინის წარმოების ტრადიცია და გარკვეულ მიკროზონაში შემუშავებული წარმოების თავისებურებების შენარჩუნება საჭიროებისამებრ. რაც შეეხება გოგირდის დამატებას ღვნოში ან თუნდაც ვენახში გამოყენება სხვადასხვა სოკოვანი დაავადების თუ მავნებლის წინააღმდეგ თითქმის იმდენივე ხნის ისტორია აქვს რამდენი ხნის ისტორიაც აქვს მეღვინეობას. გამოდის რომ ევროპა გოგირდის წინააღმდეგი არ არის, რასაც ვერ ვიტყვით ამერიკაზე, სადაც გოგირდის შემცველობა მკაცრად კონტროლდება არა მხოლოდ ღვინოში არამედ ვენახშიც. ფაქტიურად მხოლოდ გარკვეული რაოდენობის, ვენახში გამოყენების უფლება გაქვს, ჩვენი მთავარი საექსპორტო პარტნიორი ამერიკაა, სადაც ჩვენი წარმოებული პროდუქციის 70 პროცენტი გადის.

– ჩვენს რეალობაში ამ პრინციპით ღვინის დაყენებას არ ეწინააღმდეგება მაგალითად, ქვევრში გოგირდის ჩაბოლების მეთოდი, რადგან იგი ხორციელდება ქვევრის კედლების დეზინფექციისათვის და არა ღვინოში გოგირდის დამატების მიზნით. თუმცა გოგირდის ჩაბოლების მეთოდი გარდაუვალი ნამდვილად არ არის და როგორც პრაქტიკიდან ირკვევა, ამ მეთოდის გამორიცხვა, ან ჩანაცვლება სრულიად შესაძლებელია. თქვენ როგორ ამუშავებთ ღვინოს?

– გოგირდის ჩაბოლებას აქვს თავისი როგორც კარგი ასევე ცუდი მხარეც. საერთოდ გოგირდის გამოყენება დიდ ცოდნას მოითხოვს, სრულიად შესაძლებელია ღვინის სტაბილურობისთვის ან ჟანგვა-აღდგენითი პროცესებისათვის გადადგმული კეთილი ნაბიჯი ღვინის დაავადების მიზეზი გახდეს. საბედნიეროდ ახალი ტექნოლოგიების დახმარებით გვაქვს რამოდენიმე მეთოდი ქვევრის კედლების სადეზინფექციოდ, ხოლო თვითონ ტერმინი „ღვინის დამუშავება“ ეწინააღმდეგება „ნატურალური ღვინის“ წარმოების ფილოსოფიას. ჩვენ ვემხრობით მიდგომას – ღვინო ცოცხალი ორგანიზმია, თავისით გადის სტაბილიზაციის ყველა ეტაპს, ვცდილობთ შევუქმნათ სათანადო გარემო, ტემპერატურის და ტენიანობის გათვალისწინებით.

– ღვინის ფილტრაციას თუ ახდენთ?

– ჩვენ გაუფილტრავ ღვინოს ვაწარმოებთ, უფრო სწორად ჩამოსხმას ვიწყებთ მაშინ როცა ღვინო მიაღწევს გამჭვირვალობის გარკვეულ დონეს გრავიტაციის დახმარებით, ამ პროცესს დაახლოებით 1,5 – 2 წელი სჭირდება.

– ღვინის რეალიზაციის მიზნით ბოთლში ჩამოსხმას თუ ახდენთ და როგორ იცავთ ჰიგიენის წესებს?

– დიახ, ბოთლში ვასხამთ, არ ვიყენებთ მეორად ბოთლებს, ხოლო ჩამოსხმის წინ ცხელი და ცივი წყლით ვამუშავებთ ბოთლს.

– ნატურალური ღვინო არის ადამიანის მთელი წლის გონებრივი და ურთულესი ფიზიკური შრომის ნაყოფი, ამასთან ამგვარი ღვინის დაყენების წესი ერთგვარი ანარეკლია ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილი „ღვინის ქართულად დაყენების“ პრინციპისა, რასაც საქართველოში მრავალათასწლიანი ისტორია და გამოცდილება ახლავს. თუ ხართ კმაყოფილი თქვენი საქმიანობის საბოლოო შედეგით?

– ვართ კმაყოფილი, მაგრამ მეღვინეობა მხოლოდ ერთი თაობის საქმიანობა არ არის, ის ისტორიულად ჩვენი კულტურის ნაწილია და ტრადიციული დარგის განვითარებას მცოდნე და მონდომებული ახალგაზრდები სჭირდება.

– უღრმესი მადლობა ბატონო ერეკლე საინტერესო საუბრისათვის, წარმატებები მინდა გისურვოთ თქვენს მეტად საპასუხისმგებლო საქმიანობაში.

ესაუბრა
ალექსანდრე გიგილოშვილი

ქართული მწერლობის ერთ-ერთი დიდი და მნიშვნელოვანი ძეგლი, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, ბრწყინვალე იგავ-არაკების კრებულია. სულხან-საბა სიბრძნეს გვაწვდის მარტივი და უბრალო იგავების თხრობით. ეს გულისხმობს, რომ თვით უბრალო ცხოვრებისეულ ამბებშიაც დიდი სიბრძნე შეიძლება იყოს ჩადებული.

სულხან-საბა ორბელიანი უგუნურებასა და სიმდაბლეს ღიმილით ებრძვის. მისთვის იუმორის გრძნობა სიბრძნის მაჩვენებელია. სულხან-საბას იუმორი ეხება ყველას, როგორც იტყვიან, მდაბიოს და მეფეს, ერსა და ბერს.

სულხან-საბა ორბელიანი – ცხოვრების ბრძენი მასწავლებელი

იგავ-არაკთა გასააზრებლად უნდა გავითვალისწინოთ დიდი ილია ჭავჭავაძის შეგონება: „სულხან-საბა ორბელიანისეული სათაური „სიბრძნე-სიცრუისა“ ნიშნავსო, რომ სიცრუეს კი გიყვებით, მაგრამ სიბრძნეს გასწავლითო“.

გთავაზობთ მცირე ამონარიდს სულხან-საბა ორბელიანის ქმნილებიდან - „სიბრძნე-სიცრუისა“.

ოთხი ყრუ

„ერთი ყრუ კაცი იყო და ხარი დაკარგა, საძებნელად წავიდა. ერთი კაცი შემოეყარა. კითხვა დაუწყო. თურმე ის კაცი უფრო ყრუ იყო და ვირი თურე ეპოვნა. მან ხარისა ვერა შეიტყო. ასე უთხრა: ვირი თუ შენია, საპოვნელა მაინც მომეციო! ერთმანერთსა ვერა შეატყობინეს რა.

ერთი ცხენოსანი კაცი მოვიდოდა და ქალი ვინმე გავას უჯდა. მივიდნენ მასთან. ამან ამისი ხარისა უთხრა, მან მისი ვირისა. თურე ის უფრო ყრუ იყო; ეგონა: დიაცს მართმევენო. ფიცი თქვა: ცოლი მომიკვდა და ეს მისი მოახლე არისო, სხვისას ნუ ჰგონებთო! ვერც ერთმა ვერა გაიგეს რა.

ყადთან წავიდნენ, ყველამ თავისი საჩივარი თქვეს. ყადი თურმე სიბერით დაყრუებულიყო. რამაზანი იყო. ეს მოჩივარნი მთვარის გამოჩენის მოამბენი ეგონა. თქვა: რადგან მთვარე უნახავან, ნაღარასა კარითო! ვერც ერთმან ვერა გაიგეს რა.

- აწე, ჩვენ, დიდნი და პატარანი, ყველანი დავყრუებულვართ, თვარემ რატომ არ გვესმის ერთმანეთისო?!

გლახა და მდიდარი

ერთი გლახა კაცი თავის სახლში იჯდა და ინატრა: ღმერთო, ხუთასი მარჩილი მომეცო და თუ ან ერთი აკლია, არ ვინდომებო.

ერთი მდიდარი კაცი თურე ბანზე იარებოდა. მან გაიგონა და თქვა: მივიტანო და გამოვცადო კაცი ესე თუ რასა იქმსო? წავიდა, ხუთასი მარჩილი დათვალა და ათი დააკლო. დაბეჭდა და ბანიდამ ჩამოუგდო.

დათვალა კაცმან და ათი აკლია. თქვა: ღმერთო, შენმც კურთხეულ ხარო! ერთი მარჩილიც გებოძა, იმასაც დავიმადლებდი, არამც თუ ეს დაგამწყრალოო.

ჩამოვიდა იგი მდიდარი კაცი და უთხრა: ჩემია, გამოგცადე, მომეც, ნავილოო!

მან შორს დაუჭირა: შენთვის არ მითხოვნია, ღმერთსა ვთხოვე და მომცაო.

შეიცილნენ და ყადთან საჩივლელად წავიდნენ.

მან გლახამან უთხრა: მე არა მაცვია რა და შენ კარგად მორთულხარ, ეგ შენი ტყავ-კაბა მათხოვე და წამოვალო.

მან კაცმან ამდენს სიკეთეზე ისიც დაამატა, ათხოვა. ჩაიცვა და წავიდნენ ყადთან, იჩივლეს.

მერმე მან გლახაკმან თქვა: ეგ ასეთი მაცილობელი კაცია, თუ ამ ტყავ-კაბასაც არ შემომეცილება, ნახავთო!

მან კაცმან უთხრა: ახლა არ გათხოვეო? ამაზე ყადი განწყრა, მრავალი ჯოხი ჰკრეს, მდიდარი კაცი გააძეს, ასრე კარგი პასუხი უყო, კიდევ გაძარცვა და ათრევინა.

კარგისათვის კარგი არავის უქმნია, ნუ ამბობ!

ძვირფასო მკითხველო, ამჯერად წარმოგიდგინეთ სულხან-საბა ორბელიანის ორი არაკი, რომ კიდევ ერთხელ წაგვეკითხა და ასე შევხმიანებოდით დიდ წინაპარს. ამასთან ერთად, სასურველია ჩვენთვის სათანადო დასკვნებიც გავაკეთოთ.

ჩვენთან არს ღმერთი!

ოთარ დავითაშვილი

ფაზისის აკადემიის კახეთის მხარის რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელი

ამგეგის კრიალოსანი

ალმა მატერ

„ალმა მატერ“ – ასე ეძახიან იმ უმაღლეს სასწავლებელს, სადაც გვისწავლია. ლათინური გამოთქმაა და ნიშნავს „აღმზრდელ დედას“.

ძველად ასე ეძახდნენ სტუდენტები უნივერსიტეტს. ახლაც არ დაუკარგავს ამ გამოთქმას მორალური აქტუალობა, რადგან გამოთქმა გულისხმობს დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იმ სასწავლებლის მიმართ, სადაც იზრდება ახალგაზრდა ადამიანი.

ალფა და ომეგა

ყოველი საქმის თავი და ბოლო

„ალფა“ ბერძნული ანბანის პირველი ასოა, ხოლო „ომეგა“ – უკანასკნელი. ძველი ბერძნული ლიტერატურის გავლენით, ბერძნული ანბანის პირველმა და უკანასკნელმა ასოებმა ეს ქარაგმული მნიშვნელობა მიიღო და გავრცელდა მთელს მსოფლიოში.

ევრიკა

„ევრიკა“ ძველი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „ვიპოვე“. იტყვიან მაშინ, როცა დიდხანს ეძებენ რასმე და იპოვიან.

სირაკუსში (დღევანდელი კ.სიცილია) ძვ.წ. III საუკუნეში ცხოვრობდა ძველი ბერძენი მეცნიერი, მათემატიკოსი და მექანიკოსი არქიმედე. მან აღმოაჩინა ჰიდროსტატიკის (ჰიდროსტატიკა – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის სითხის წონასწორობას და უძრავი სითხის მოქმედებას მასში ჩაძირულ სხეულზე) ძირითადი კანონი.

ამ კანონის აღმოჩენას არქიმედე დიდხანს მოუნდა და როდესაც მიზანს მიაღწია, სიხარულით და კმაყოფილებით წამოიძახა „ევრიკა!“

ამნაირად წარმოიშვა გამოთქმა, რომელიც მთელ დედამიწას მოედო.

ბოიკოტი

„კარის დაკეტვა“, მთლიანად ან ნაწილობრივ ურთიერთობის განყვეტა რომელიმე პირთან, დაწესებულებასთან ან სახელმწიფოსთან

ირლანდიაში XIX საუკუნეში ცხოვრობდა სამხედრო პირი, კაპიტანი, გვარად ბოიკოტი.

ბოიკოტი ერთ-ერთი მამულის მმართველი იყო. იგი დევნიდა და ავიწროვებდა ირლანდიელ მოიჯარეებს, სასტიკად ეპყრობოდა აგრეთვე თავის მუშებს. ბოიკოტის სისასტიკით აღშფოთებულმა მოიჯარეებმა 1880 წელს მასთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს, იგი მიატოვეს აგრეთვე მისმა მუშებმა.

ბოიკოტს „დაუკეტეს“ კარი, არც ერთ მაღაზიაში საქონელი არ მიჰყიდეს და არც მისგან შეიძინეს. ბოიკოტის ამბავი მთელ ოლქს მოედო. ხალხისგან შერისხული, იგი იძულებული შეიქნა ამერიკაში გადასახლებულიყო. ასე წარმოიშვა სიტყვის ეს მნიშვნელობა.

ლაკონიური საუბარი

ფილიპე მაკედონელს (ალექსანდრე მაკედონელის მამა) სპარტელები (ლაკედემონელები) აუჯანყდნენ (სპარტა –ძველი ბერძნული ქალაქ-სახელმწიფო).

ლაკონიური საუბრით განთქმული სპარტელებისთვის ფილიპეს „ლაკონიურად“ (მოკლედ) მიუწერია მუქარა: „თუ ლაკონიაში მოვედი, ძირფესვიანად ამოგთხრითო!“

„თუ!“ – უპასუხიათ სპარტელებს „ულაკონიურესად“.

მოამზადა
ოთარ დავითაშვილმა

ფუტკრის მზადება ზამთრობისათვის და მისი მიმდინარეობის შეფასება

სტატიაში განხილულია ფუტკრის ზამთრობაზე მოქმედი ფაქტორები: საკვების მარაგი და მისი ხარისხი, მოზამთრე ფუტკრის ასაკი და რაოდენობა, ცხიმოვანი სხეულის მდგომარეობა, საზამთრედ ბუდის შედგენა, ინვაზიური დაავადებების დონე, სკის მიკროკლიმატი, სკების განწყობა საფუტკრეში, მოზამთრე გუნდის მოძრაობა.

ამასთან ერთად ნაჩვენებია უარყოფითი ფაქტორების გამოსწორების საშუალებები ჩვენს ქვეყანაშიც კი, სადაც ზამთარი ჩრდილოეთთან შედარებით ბევრად უფრო ადვილი გადასატანია ცოცხალი ორგანიზმისათვის, მაინც იგი მძიმე გამოცდის წინ აყენებს მეფუტკრეობას, რის შედეგადაც ზამთრობაში საკმაოდ ბევრი ფუტკარი იღუპება.

მიჩნეულია, რომ დაღუპული ოჯახების რაოდენობა საშუალოდ 10%-ს შეადგენს, თუმცა ეს მაჩვენებელი მყარი არ არის და ხშირად ბევრად მეტია (Furgala, McCutcheon, 2010).

საფუტკრემ რომ ნორმალურად გამოიზამთროს, მისი მფლობელი ამ საქმისათვის ზაფხულის პერიოდიდანვე უნდა შეემზადოს, რადგან ზამთრობასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი ამ დროს წყდება.

ზამთრობისათვის საჭირო საკვების მარაგი და მისი ხარისხი ზაფხულის ბოლოს უნდა იყოს უზრუნველყოფილი. თუ მეფუტკრე ამჩნევს, რომ იგი საკმარისი არ არის, მან საფუტკრე უნდა მოამარაგოს საჭირო მასალებით: კონცენტრირებული შაქრის სიროფით (60%-იანი) ან ინვერსიული შაქრით.

სასურველია, რომ ამ უკანასკნელის კონცენტრაცია თაფლთან მაქსიმალურად იყოს მიახლოებული (76-77 მას. %), რაც ფუტკარს დაუზოგავს სასიცოცხლო ენერგიას. ფუტკრის მიერ 60%-იანი შაქრის სიროფის დიდი რაოდენობით გადამუშავების დროს შაქრის 20-23% ამ პროცესისათვის საჭირო ენერგეტიკული დანახარჯებია, რაც საზარალოა საფუტკრისათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ ფუტკრის ცვეთაზე.

მიიჩნევენ, რომ ზამთრობის პერიოდში (ღალიანობის დამთავრებიდან მომდევნო წლის ნექტრის ღალის დაწყებამდე) თითოეულ ჩარჩო მოზამთრე ფუტკარზე 2 კგ უნდა იყოს მომარაგებული, თუმცა ზოგჯერ გაუთვალისწინებელი შემთხვევებიც ხდება: თბილი ზამთრობის დროს ფუტკარი აქტიურდება და შეიძლება ბუდეში კვერცხდებაც დაიწყოს, რაც ზრდის ამ პერიოდში დახარჯული საკვების რაოდენობას და საჭირო ხდება დამატებითი საკვების მიცემა.

ზაფხულის პერიოდში უნდა განსაზღვროთ ფუტკრის მიერ მოტანილი თაფლის სახეობა. თუ საზამთრე მარაგში ივარაუდეთ მანანა თაფლის არსებობა, ზაფხულის ბოლოს ასეთი რამ ზუსტად უნდა დაადგინოთ, ან შეამოწმებინოთ მანანას არსებობა ლაბორატორიულად. დადასტურების შემთხვევაში თაფლის მარაგი მაქსიმალურად უნდა გამოწუროთ და შაქრის სიროფით ან ინვერსიული შაქრით შეცვალოთ. იგივე პროცესი უნდა განახორციელოთ, თუ საზამთრე მარაგში შერეულია ადვილად დაკრისტალებადი ოქროწკეპლას ან სუროს თაფლი.

ზამთრის II ნახევარში (თებერვალი) ფუტკრის ბუდეში ხშირად იწყება კვერცხდება და შესაბამისად ბარტყის კვება, ე.ი. ფუტკრის მიერ რძის გამოყოფა, ამ პროცესისათვის საჭირო ჭეოს ხარჯვით.თუ ეს უკანასკნელი სკაში შეზღუდული რაოდენობითაა, საჭირო ხდება ფუტკრისათვის ცილოვანი დანამატების (სოიის შროტი ან ფარში, მშრალი რძე, საფუარი და სხვ.) მიცემა ნახშირწყლოვან საკვებთან (კანდი) ერთად, უფრო მიზანშეწონილი იქნება თუ მეფუტკრე გაითვალისწინებს წინა ზაფხულის პერიოდში ყვავილის მტვრის დამზადებას ზამთრობის დასასრულისათვის, რადგან ეს კომპონენტი ფიზიოლოგიურად ბევრად უფრო ეფექტიანია მონელებადობის თვალსაზრისით.

მოზამთრე ფუტკრის ასაკი

ეს ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია წარმატებული ზამთრობისათვის. ზამთრობაში შესული ფუტკარი ფიზიოლოგიურად ახალგაზ-რდა უნდა იყოს, ე.ი. სკაში არსებულ სამუშაო პროცესებში (ნექტრის მოტანა, დაბინავება და გადამუშავება, ბარტყის გამოზრდა და სხვ.) მისი მონაწილეობა სასურველი არ არის.ასეთი ფუტკარი გამოჩეკვის შემდეგ უხვად იკვებება, განსაკუთრებით ჭეოთი, რაც ამდიდრებს მის ორგანიზმს სამარაგო საზრდო ნივთიერებებით (პროტეინი, ცხიმი, მინერალური მასალები), რომელთა შემცველობა ფუტკრის ორგანიზმში ზამთრობის დასაწყისში უფრო მაღალია, ვიდრე გაზაფხულზე.

წარმოდგენა რომ იქონიოს მეფუტკრემ, როგორი ფუტკარი ჰყავს მას ზამთრობის წინ, უნდა შესრულდეს გარკვეული საანალიზო სამუშაოები: მუშა ფუტკრის შეფერილობა, ცხიმოვანი სხეულის მდგომარეობა ან ფუტკრის ორგანიზმში პროტეინისა და ცხიმის გაანალიზება, რაც შემდეგნაირად ხდება:

მეფუტკრე თბილ, მზიან ამინდში ხსნის სკას, იღებს ჩარჩოებს და ვიზუალურად განსაზღვრავს მასზე მსხდომი ფუტკრების ფერსა და შებუსულობას. მოზამთრე ფუტკარი უნდა იყოს კარგად შებუსული, რუხი ფერის. მოშავო ფერის მბზინავი ფუტკრის არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ იგი ხანდაზმულია.

ცხიმოვანი სხეულის მდგომარეობის შემოწმება

იღებენ რამდენიმე ცალ მუშა ფუტკარს, წააცლიან თავებს, საპრე-პარაციო ნემსით გაუხსნიან მუცლებს და აცლიან შიგა ორგანოებს (სათაფლე ჩიჩახვი, ნაწლავები), გულაღმა ქინძის-თავებით ამაგრებენ ქიტინოვანი საფარვლის კიდეებით ცვილის ბრტყელ კვერეულზე და მიკროსკოპში, ხელოვნური განათების პირობებში ამოწმებენ ცხიმოვანი სხეულის მდგომარეობას: იგი კარგად უნდა მოჩანდეს ერთიანი მოთეთრო მასის სახით, მუცლის დორზალურ ნაწილზე.

თუ მეფუტკრე შემოდგომაზე ეჭვობს, რომ მოზამთრე ფუტკრის ორგანიზმი კარგად არ არის მომარაგებული საზრდო ნივთიერებებით, იგი მუშა ფუტკრის

ნიმუშებს აგზავნის ლაბორატორიაში, სხეულში პროტეინისა და ცხიმის შემცველობის დასადგენად (მშრალ მასაში). გაშრობამდე ნიმუშებს აცლიან შიგა ორგანოებს. პროტეინის შემცველობა მუშა ფუტკარში 45-50%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს, ცხიმისა – 12–20 %.

მოზამთრე ფუტკრის რაოდენობა

მოზამთრე ფუტკრის რაოდენობაზე დამოკიდებულია მნიშვნელოვანი სამეურნეო და ბიოლოგიური მაჩვენებლები: საკვების ხარჯვა ზამთრობის პერიოდში, ფუტკრის შენარჩუნება, განვითარების ინტენსიურობა და სხვ.

ძლიერი ოჯახი ერთეულ ცოცხალ მასაზე უფრო ნაკლებ საკვებს ხარჯავს, ვიდრე სუსტი და უკეთესად ვითარდება აქტიურ სეზონზე. ცნობილია, რომ შუა რუსეთის ფუტკრის ნორმალური ზამთრობისათვის ოპტიმა-ლური რაოდენობა 9-11 ჩარჩოს შეადგენს (ტუნიკოვი და სხვა, 2001).

ქართული ფუტკრისათვის, მისი ნაკლები კვერცხმდებლობის გამო, ეს მაჩვენებელი უფრო დაბალია. ოპტიმალურ მაჩვენებლამდე (სავარაუდოდ 7-9 ჩარჩო) მის მისაყვანად უნდა გამოვიყენოთ ის ხერხები, რომლებიც აღწერილია ქვე-თავში „აქტიურ სეზონზე ფუტკრის მოვლა და პროდუქციის წარმოება“)

ინვაზიური დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა

ეს დაავადებები (ნოზემატოზი, ვაროატოზი და სხვ.) მეტად თავს იჩენს ზამთრობის პერიოდში, თუ მოქმედებისათვის ხელშემწყობი პირობები დაუდგათ.

ნოზემატოზისათვის ასეთი პირობებია: უხარისხო საკვები (მაგ, მანანა თაფლი), ჩრდილოვან ადგილზე ფუტკრის მოთავსება, სინესტე სკაში, ზამთრობის პერიოდში ფუტკრის ფრენის (გამომღერა) შესაძლებლობის არარსებობა. ნოზემატოზის წინააღმდეგ გამოიყენეთ ბრძოლის გავრცელებული საშუალებები (საკვების ხარისხის გაუმჯობესება, საფუტკრის განთავსება შესაფერის ადგილზე, მკურნალობა პრეპარატების საკვებში ჩართვით და სხვა).

რაც შეეხება ვაროატოზს, მის წინააღმდეგ ბრძოლისათვის საფუტკრეს ამუშავებენ გავრცელებული პრეპარატებით, როგორც ღალიანობის დასასრულს, ისე ბუდეში ბარტყის გაქრობის შემდეგ, როცა ტკიპების ნარჩენი რაოდენობა ზრდასრულ ფუტკარზეა გადასული (შემოდგომა). ასეთ შემთხვევაში ეფექტიანი სამკურნალო პრეპარატის გამოყენება განსაკუთრებით შედეგიანია.

საზამთრედ ბუდის შედგენა

მოზამთრე გუნდის განთავსება ბუდეში მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ გუნდმა უნდა მიიღოს შესაძლებლობა, შეუფერხებლად იკვებოს და შეძლოს საჭირო საარსებო პირობების შენარჩუნება.

ზამთრობისათვის გუნდი ეწყობა ფიჭის ქვედა მხარეზე, საკვებისაგან თავისუფალ უჯრედებზე. ამდენად, საკვებით მთლიანად გავსებული ფიჭის გამოყენება არ შეიძლება. ბუდის შუაგულში დგამენ კარგად აშენებულ, ღია ფერის ჩარჩოებს, რადგან ფუტკარი ბარტყის გამოზრდას ამჯობინებს ასეთ ფიჭებში. მოზამთრე გუნდისათვის ბუდეში ტოვებენ იმდენ ჩარჩოს, რამდენსაც იგი ფარავს.

გახსოვდეთ! ზედმეტი ჩარჩოების დატოვება იწვევს ზედმეტი სივრცის გათბობის საჭიროებას და შედეგად საკვების არამწარმოებლურ ხარჯვას, რაც ფუტკრის გაზრდილ ცვეთას და საკვების დანაკლისს იწვევს!

ამავე მოსაზრებით გუნდი ზემოდან და საჭიროების შემთხვევაში გვერდიდან უნდა დათბუნდეს საფარი ტილოთი და ბალიშებით. საკვების მომჭირნედ, ეფექტიანად ხარჯვა ის ძირითადი მაჩვენებელია, რაც განსაზღვრავს წარმო-ებული პროდუქციის თვითღირებულებას.

მოზამთრე გუნდის მიკროკლიმატი

რეკომენდებული მაჩვენებლების დაცვა ამცირებს საკვების ხარჯვას და ეხმარება ფუტკარს, ზამთრობა ნორმალურად გადაიტანოს. ოპტიმალურად ითვლება ტემპერატურა – 20+20C-ის ფარგლებში.

ფუტკრის ზამთრობას დიდ სიძნელეებს უქმნის საფუტკრის განთავსება ნესტიან ადგილზე, ჩრდილში, რაც სკაში ტენის დაგროვებას და შესაბამისად ბუდის დანესტიანებას იწვევს. ასეთ პირობებში მარაგი საკვები ტენს შთანთქავს და იწყებს ამჟავებას, რამაც მოზამთრე გუნდის დაღუპვა შეიძლება გამოიწვიოს.

ტენის დაგროვებისას სკის კედლებზე, ფიჭებსა და ბალიშებზე ობი ჩნდება, ფუტკარი წუხს და ამის გამო სკაში ტემპერატურა ზევით იწევს, რაც ნოზემატოზის განვითარებისა და ფუტკრის ფაღარათის საფრთხეს წარმოშობს. მდგომარეობის გამოსასწორებლად სკა უნდა გადაიდგას მზიან ადგილზე და მასში შეიქმნას პირობები ბუდის ვენტილაციისათვის.

ზამთრობის მიმდინარეობის ერთ-ერთ მაჩვენებლად გამოიყენეთ გუნდში ნახშიროჟანგის (CO_2) კონცენტრაცია. ეს ნივთიერება განაპირობებს გუნდში ნივთიერებათა ცვლის ინტენსივობის შემ-ცირებას და შესაბამისად – საკვების ხარჯვისაც.დამტკიცებულია, რომ რაც მაღალია CO_2-ის შემცველობა (3-4%-

გაგრძელება მე-6 გვ.-ზე

ფუტკრის მზადება ზამთრობისათვის და მისი მიმდინარეობის შეფასება

დასაწყისი მე-5 გვ.-ზე

მდე), მით ზამთრობა უკეთესად მიმდინარეობს. ეს არის მოზამთრე გუნდის დაცვის ერთ-ერთი მექანიზმი, რომელიც ძლიერ ოჯახებში უფრო მაღალია სუსტებთან შედარებით და ფუტკრის ჩრდილოურ ჯიშებს უფრო განვითარებული აქვთ, ვიდრე სამხრეთულს (მკაცრი, ხანგრძლივი ზამთრის გავლენა).

სკების განთავსება საფუტკრეში

ეს საყურადღებო მაჩვენებელია იმ მოსაზრებით, რომ ფუტკარს ზამთრის იმ დღეებში, როცა ამინდი კარგია და შედარებით თბილა, შეეძლოს გარეთ გამოფრენა ფეკალისაგან ნაწლავის გასასუფთავებლად.

სკები ისე უნდა დადგათ, რომ კედლები სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან მზის სხივებით თბებოდეს, ხოლო საფრენი მიქცეული არ იყოს ჩრდილო-ეთისაკენ, რათა ჰაერის ცივი მასების შეჭრა თავიდან აიცილოთ.

სკის წინა მხარე ცოტა უფრო დაბალი უნდა იყოს, რომ საფრენში ნალექი არ შეიჭრას და ბუდე არ დაანესტიანოს.

მოზამთრე გუნდის მოძრაობა

იგი იწყება ფიჭის ქვემო ნაწილიდან, საფრენის სიახლოვეს და თანდათან ზემოთ მიიწევს, ბოლოს სკის უკანა კედლისაკენ მიიმართება, რასაც გუნდისათვის დაცვითი ფუნქცია აქვს: ზამთრობის ბოლოს იგი აღმოჩნდება იმ ადგილზე, სადაც უფრო მეტია სითბო და ნაკლებია ჰაერის ცივი ნაკადის მოხვედრა, რაც კვერცხდების დაწყებას ხელს უშლის.

შესაძლებელია, ფიჭაში აღმოჩნდეს ადვილადკრისტალებადი თაფლის გარკვეული ფენა, რომლის გადალახვა ფუტკრის გუნდს არ ძალუძს. ასეთ შემ-თხვევაში გუნდი შეიძლება შიმშილით დაიღუპოს, თუნდაც უფრო ზემოთ თხევადი თაფლის მარაგი იყოს.

იგივე შემთხვევასთან გვექნება საქმე, თუ ფიჭის ერთ მხარეზე საკვების მარაგის შეზღუდულობაა და სკის გარეთ არსებული უამინდობა გუნდს გადაჯგუფების საშუალებას არ აძლევს. სხვა შემთხვევაში გუნდს შეუძლია, დაძლიოს ასეთი სირთულეები და შიმშილს გადაურჩეს.

შიმშილისგან დაცვა

ზამთრობის პერიოდის გაუთვალისწინებელი სახით მიმდინარეობისას (ამინდის არატიპიური ცვალებადობა, ცივი პერიოდის გახანგრძლივება) შეიძლება ბუდეში შეიქმნას საკვების დეფიციტი, რომლის დასაძლევად მეფუტკრემ უნდა ჩაატაროს დამატებითი გამოკვება.

ამ შემთხვევისათვის გამოყენებული საკვები საშუალებები, როგორც წესი, ნახშირწყლებისაგან შედგება და ორი სახეობისაა: თხევადი და ცომისებური. თხევად საკვებად იყენებენ შაქრის კონცენტრირებულ სიროფს (Буренин и Котова,1984), აგრეთვე მაღალკონცენტრული (76-77მას.%) ინვერსიული სიროფი.

თხევადი საკვების უპირატესობა ისაა, რომ იგი კონცენტრაციით თაფლის ანალოგიურია, თუმცა იმის გამო, რომ სიროფის ნაწილი ფუტკარს ფიჭაში გადააქვს, შაქრის სიროფის დაკრისტალებისა და ამჟავების საფრთხეც ნაკლებია მაღალი კონცენტრაციის გამო.

დამატებითი საკვები ფუტკარს მაშინ მიეცით, თუ გუნდმა ჩარჩოს ზედა თამასას მიაღწია, ე.ი. საკვებთან უშუალოდ აქვს შეხება, წინააღმდეგ შემთხვევაში საკვები აუთვისებელი რჩება.

ინვერსიული სიროფის ერთ-ერთი უპირატესობა ის არის, რომ მისი მიცემისას მოზამთრე გუნდი არ აქტიურდება, რაც არსებითია ფუტკრისათვის ამ პერიოდში. 0,5-0,8 ლ ინვერსიული სიროფი ფუტკრის ოჯახისათვის საკმარისია 15-20 დღის განმავლობაში. უფრო ხშირი კვება სასურველი არ არის.

შიმშილით დახოცილი ფუტკარი

ტრადიციულად ცომისებრი საკვების გამოყენება ზამთრობის პერიოდში უფრო გავრცელებულია იმის გამო, რომ მეფუტკრეთა საზოგადოება მას უკეთესად იცნობს, მაგრამ კანდის მოხმარებას აქვს რიგი უარყოფითი მოვლენებისა: კანდი ძვირადღირებულია იმის გამო, რომ მისი დამზადება ტექნიკურად უფრო რთულია (ინვერსიული სიროფის მომზადება-კონდიცირება, შაქრის დაფქვა, კომპონენტების შერევა, მოზელა, შეფუთვა). ამის გამო კანდის ღირებულება ინვერსიული შაქრის ამ მაჩვენებელზე ორჯერ მეტია.

ჯერჯერობით კანდის გამოყენების ერთ-ერთი დადებითი მხარე იმაშია, რომ მასში შეიძლება ჩაირთოს არაწყალხსნადი პროტეინოვანი საკვები საშუალებები ნებისმიერი რაოდენობით და ნაზავი ხანგრძლივად ინარჩუნებს ფიზიკურ ფორმას.

თაგვებისაგან დაცვა

ზამთრის პერიოდში სკაში შეიძლება თაგვმა დაიბუდოს და მთელი ოჯახი გაანადგუროს.

თაგვი მოზამთრე გუნდში ჭამს როგორც ცოცხალ ფუტკარს, ისე ჭეოს დაგროვილ მარაგს. თუ სკის დათვალიერებისას მეფუტკრემ შეამჩნია შეჭმული ფუტკრის ნარჩენები საფრენში ან შიგნით, დაუყოვნებლივ უნდა შეამოწმოს ფუტკრის მდგომარეობა და თაგვი მოსპოს.

შენახულ ფიჭას ცარიელ კორპუსებში აწყობენ, კორპუსებს ალაგებენ ლითონის ქვესადგამზე, არანაკლებ 0,5 მ სიმაღლით, იატაკზე, კორ-პუსების გარშემო ქაღალდის ზოლებს აწყობენ და მასზე ასხამენ თხევად, პასტისებურ საწამლავს, რომლის გადალახვას თაგვი ვერ ახერხებს (შიგ ეფლობა და კვდება).

მოზამთრე გუნდის ხმა

ნორმალურად მოზამთრე ფუტკარს ახასიათებს მშვიდი, თანაბარი ზუზუნი. თუ მას რაიმე აწუხებს (დაავადებები, ბუდეში გაჩენილი თაგვი, საზამთრე ნაგებობაში – მაღალი ტემპერატურა), ხმაური მატულობს, შიმშილობის გამო გუნდი გამოსცემს შრიალის მაგვარ ხმას. მეფუტკრემ პერიოდულად უნდა შეამოწმოს მოზამთრე გუნდის ხმა, გამოარკვიოს გაზრდილი ხმაურის მიზეზი და შეასრულოს ყველა სამუშაო მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის.

გ. მაძღარაშვილი
/მეფუტკრეობა/

როგორ შევინარჩუნოთ ენერგიულობა დღის განმავლობაში

ყოველდღიური რუტინის შეუსრულებლობა ენერგიას ართმევს. ყველაზე ხშირად, ენერგიის დაქვეითება მოჰყვება ცხოვრების რიტმის დარღვევას. სხეულმა უბრალოდ არ იცის რისთვის უნდა მოემზადოს მომდევნო წუთში და მუდმივად დაძაბულობაშია, რათა მყისიერად უპასუხოს ცვალებად პირობებს.

ენერგეტიკული ცვლის დარღვევის მთავარი მიზეზი ყოველდღიური რუტინის ქაოსურობა. ამიტომ ენერგიის შესანარჩუნებლად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მისი კორექტირება.

გაღვიძება და დაძინება, დაბანა, ჭამა, ვარჯიში ყოველდღიურად ერთსა და იმავე დროს უნდა იყოს.

ენერგიის შესანარჩუნებლად საჭიროა სწორად იკვებოთ და დალიოთ ბევრი წყალი. მენიუ უნდა შეიცავდეს საკმარისი რაოდენობით ვიტამინებს, მიკროელემენტებს, ცილებს, ცხიმებსა და ნახშირწყლებს. წყალი ბუნებრივი გამხსნელია იმ ნივთიერებებისთვის, რომლებსაც ჩვენ ვჭამთ. მისი დეფიციტი უარყოფითად მოქმედებს ყველა მეტაბოლურ პროცესზე.

მოძრაობის ნაკლებობა ენერგიის დაკარგვის კიდევ ერთი მიზეზია. ამიტომ, ღირს ვარჯიშისვის მაქსიმალური ყურადღების მიქცევა.

ქრონიკული სტრესი და ძილის ნაკლებობა ენერგიის ნაკლებობის ნამდვილი თანამგზავრია, აუცილებელია კარგი და საკმარისი დასვენება ღამით.

თუ დაიცავთ ამ წესებს, არ უნდა ელოდოთ მყისიერ შედეგებს. ორგანიზმს ადაპტაციისთვის დრო სჭირდება – დაახლოებით 14 დღე.

ფუტკრის ძირითადი დაავადებების მკურნალობა ბიომეთოდებით

ფუტკრის მკურნალობა ბიომეთოდებით

დაიმახსოვრეთ! ქიმიური წამალი, რომელსაც ჩვენ ვხმარობთ ფუტკრის ოჯახის სამკურნალოდ, გადადის თაფლში. თაფლიდან გადადის ადამიანში თავისი შემცველობით. ამიტომ ეკოლოგიურად სუფთა თაფლის მისაღებად უნდა ვეცადოთ გამოვიყენოთ ბუნებრივი სამკურნალო საშუალებები.

ტკიპების ჩამოსაყრელად ინერტული მასალების შეფრქვევა

ვაროას ტკიპები ფუტკრებზე მაგრდებიან ფეხების ბოლოზე არსებული ჩაღრმავებებით. თუ ისინი ამოიცსო ინერტული მასალის წვრილი მტვრით, ტკიპი კარგავს ფუტკარზე დამაგრების უნარს და ძირს ეცემა. ამ მიზნით იყენებენ კარტოფილის ფქვილს, შაქრის პუდრს, ტალკს, თამბაქოს მტვერს.

ყველა ეს ნივთიერება იწვევს ფუტკარზე მსხდომი ტკიპების ცვენას. ამათგან სხვაზე უვნებელი და ადვილად ხელმისაწვდომი შაქრის პუდრია. მას შედეგიანად იყენებენ პოლონელი მეფუტკრეები. ისინი თითოეულ ოჯახში აფრქვევენ 25-50 გრამ პუდრს 5-6 დღეში ერთხელ.

ცხარე, წითელი წიწაკის ნაყენი ვაროატოზის საწინააღმდეგოდ

ვაროატოზის საწინააღმღდეგოდ რეცეპტი და გამოყენების მეთოდი შემდეგია: ნაყენის მოსამზადებლად მაკრატლით ან დანით იჭრება 50-60 გრ გამხმარი წითელი წიწაკა 1სმ-იან ნაჭრებად, იყრება თერმოსში და ესხმება ერთი ლიტრი მდუღარე წყალი. ნაყენი იხუფება და ჩერდება 10-20 საათს.

მიღებული ნაყენი შეიძლება შევასხუროთ ჩარჩოზე მსხდომ ფუტკარს. შესხურება შეიძლება ბარტყიან ჩარჩოებზეც. შესასხურებელ 1 ლიტრა ნაყენს ემატება 200 მლ რძე და 200 გრ შაქარი. ამ დროს ჰაერის ტემპერატურა 15 გრადუსზე ნაკლები არ უნდა იქნეს. შესასხურებლად ვიყენებთ ხელის პულვერიზატორს, ან საღებავების გამფრქვევს.

შესხურება ტარდება ადრე გაზაფხულზე თაფლის გამოწურვის შემდეგ და შემოდგომაზე, უბარტყო პერიოდში. თუ ოჯახს ბარტყი არ ჰყავს, მაშინ ერთხელ შესხურებაც საკმარისია. როცა ბარტყი ჰყავს, წიწაკის ნაყენს ვასხურებთ სამჯერადად 5-6 დღის ინტერვალით. იმავე ნაყენით შეიძლება დავამუშაოთ ზაფხულის განმავლობაში შექმნილი უბარტყო ხელოვნური, ან დაჭერილი ბუნებრივი ნაყარები.

ნიორის წყალხსნარი და ექსტრატი

ნიორის წყალხსნარი მზადდება შემდეგი პროპორციით. 200 გრამ ხორცის საკეპ მანქანაში გატარებულ ნიორს ვათავსებთ მინის ქილაში და ვასხამთ 500 მლ წყალს. ქილას 24 საათით ვთავსებთ მაცივარში. წყალხსნარს ვასხურებთ ჩარჩოებს ბუდეში ჩალაგების წინ, გამოიყენება ფუტკრის ოჯახების შეერთებისასაც. ნიორის ექსტრატი მზადდება შემდეგნაირად: ვიღებთ 200 გრამ გატარებულ ნიორს, ვასხამთ 500 მლ 70º-იან სპირტს ან არაყს, ვაჩერებთ 14 დღეს მაცივარში. ასევე ვიღებთ 20 გრამ დინდგელს და ვასხამთ 500 მლ ისეთივე სპირტს და მასაც ვაჩერებთ 14 დღეს მაცივარში. ვფილტრავთ, შევურევთ თანაბარი რაოდენობით და ვაძლევთ 5 მლ-ს 1 ლიტრ სიროფზე. ეძლევა 200 გრამი სიროფი ოჯახზე 7 დღის განმავლობაში ადრე გაზაფხულზე. მოქმედება: ასკოსფეროზის პროფილაქტიკა, ფუტკრის სტიმულაცია.

ქრისტესისხლას ნაყენი

ქრისტესისხლა გამოიყენება ყვავილობის დროს როგორც ნედლი ასევე ხმელი. მცენარე შხამია. 100 გრამ ახალ მცენარეს ყრიან ახალგადმოდულებულ 2.0 ლიტრ წყალში. 25-30 წუთის შემდეგ მიიღება ნაყენი. გამხმარი ქრისტესისხლა გამოიყენება აპრილში, აგვისტო-სექტემბერში 6 სუფრის კოვზი იყრება 2.0 ლიტრ წყალში და ადუღებენ 5 წუთის განმავლობაში, ასხურებენ ჩარჩოებს ჩალაგების წინ, სკის კედლებს, ძირს. სისტემური გამოყენებისას ფუტკარი კარგად მიდის ზამთარში. მოქმედება: ანტისეპტიკური, კარგია ასკოსფეროზის და სიდამპლეების საწინააღმდეგოდ.

ბეგქონდარა

ბეგქონდარას ყვავილობის ფაზაში ახლად მოჭრილ მწვანე მასას ვატარებთ მანქანაში. ვიღებთ 100-150 გრამს და ვდებთ ორმაგ დოლბანდში. ედება ჩარჩოებს ზემოდან საფარი ტილოს ქვეშ. ბარტყიანობის დროს 12-15 დღეში ვცვლით. 1,5-2 თვეში ფუტკრის ოჯახი მთლიანად თავისუფლდება ტკიპიდან.

ცხარე, წიწაკის ნაყენის გამოყენება ნოზემატოზის საწინააღმდეგოდ

ვამზადებთ მწარე წიწაკის ნაყენს ზემოთ აღწერილი მეთოდით. მიღებული ნაყენის ერთი სუფრის კოვზი ერევა შაქრის სიროფს და ეძლევა ნოზემატოზით დაავადებულ ფუტკრის ოჯახს სამჯერადად 5-7 დღის ინტერვალით, 100-150 გრამი ერთ ჩარჩო ფუტკარზე. აღსანიშნავია, რომ მწარე წიწაკის ნაყენი ძალიან მდიდარია ვიტამინებით, რითაც ხელს ვუწყობთ ფუტკარს ოჯახის გამრავლებაში.

პრეპარატი KAC-81

ამ პრეპარატის სახელი მისი შემქმნელების გვარების საწყისი ასოებია. იგი ფიჭვის კვირტებისა და მწვავე აბზინდის ნახარშია, მომწარო გემოს ყავისფერი სითხეა. ფიჭვის კვირტებს ახალგაზრდა ყლორტებთან ერთად ამზადებენ ადრე გაზაფხულზე. ყლორტის სიგრძე 4-5 სმ-ს არ უნდა აღემატებოდეს.

მწარე აბზინდა მზადდება ორ ჯერზე. პირველად გაზაფხულზე ფოთლები, ხოლო მეორე – ყვავილობის ფაზის დაწყებისას. ყველა შემადგენელი ნაწილი დამზადების შემდეგ შრება ჩრდილში და ინახება ქაღალდის ან ტილოს ტომრებში. ფიჭვის კვირტები შეიძლება ჰომეოპათიურ აფთიაქებშიც შევიძინოთ.

პრეპარატის დამზადების რეცეპტურა შემდეგია: 50 გრ ფიჭვის კვირტებს, 50 გრ გაზაფხულის აბზინდას, 900 გრ ყვავილობის ფაზაში შეგროვებულ აბზინდას ჩაყრიან ემალირებულ ქვაბში, ასხამენ 10 ლ წყალს და ადუღებენ ნელ ცეცხლზე 2-3 საათის განმავლობაში. მიღებული ნახარში რჩება დათბუნებულ მდგომარეობაში რამოდენიმე საათს.

30-35 მლ ნახარში ერევა ერთ ლიტრ სიროფს. სამკურნალო სიროფი ეძლევა 3-4-ჯერ ადრე გაზაფხულზე ან საშემოდგომო მზადებისას 100-150 მლ-ის ოდენობით ყოველ ჩარჩო ფუტკარზე. აღნიშნული ნახარში შეიძლება შეერიოს ყანდთან ერთად შაქრის პუდრს (50 მლ ყოველ კილოგრამზე). სამკურნალო პრეპარატი ეძლევა ოჯახს როგორც თებერვალ-მარტში, ასევე აგვისტო-სექტემბერში დაზამთრების წინ.

პრეპარატი „პჩოლკა“ და მისი გამოყენება

პრეპარატი „პჩოლკა“ ნივრისა და ფიჭვის წიწვების ეკსტრაქტია. იგი გაუმჭვირვალე სქელ ვაჟინისმაგვარ სითხეს, აქვს სპეციფიკური ნივრის სუნი, დაფასოებულია 60 მლ ჭურჭელში. მეფუტკრეობაში მისი გამოყენება რეკომენდებულია ასკოსფეროზის, ვარიატოზის საწინააღმდეგოდ და დედა ფუტკრის საგაზაფხულო კვერცხდების სტიმულირებისათვის.

ეს პრეპარატი 1998-2000 წლებში კომპლექსურად შემოწმდა რიბნოეს მეფუტკრეობის აკადემიაში.

ცდებით დადგინდა, რომ:1. პრეპარატი 27%-ით ადიდებს ფუტკრის ოჯახში ბარტყის რაოდენობას.2. შაქრის სიროფთან კვებისას მისი ასკოსფეროზის საწინააღმდეგო ეფექტურობა 80-88%-ია.3. წვეთოვანი გზით ჩარჩოებს შორის ჩასხურებისას – 70-78%.4. ჩარჩოებზე 10-12 მილილიტრის ოდენობით შესხურებისას კი ეფექტურობა 90-92% აღწევს.

ასკოსფეროზის წინააღმდეგ იგი უფრო ეფექტური აღმოჩნდა, ვიდრე ასკოცინი. მისი გამოყენების წესი ასეთია:

1. როდესაც არ არის ასკოფეროზით დაავადების საშიშროება, და „პჩოლკას“ პროფილაქტიკისა და ფუტკრის ოჯახის სტიმულირებისთვის ვიყენებთ. 3 მლ პრეპარატი გაერევა 1 ლ სიროფს, რომელსაც ჩავასხამთ საკვებურებში ან ცარიელ ფიჭებში – 100-150 გრამის ოდენობით ყოველ ჩარჩო ფუტკარზე. სამკურნალო სიროფი მიეცემა ოთხჯერ სამი-ოთხდღიანი ინტერვალით.

2. ასკოსფეროზის შემთხვევაში 1 ლ სიროფს უმატებენ 10 მლ პრეპარატს და აძლევენ ფუტკრის ოჯახებს ზემო აღნიშნული რაოდენობითა და ჯერადობით. წვრილ ნაკადად ჩარჩოებს შორის ჩასხმის მეთოდს მიმართავენ როცა ტემპერატურა 150ჩ-ზე დაბალია და შაქრის გაჭირვებაა. სამკურნალო სიროფს ამზადებენ ხმარების წინ. ყოველ 100 გრ შაქარის სიროფს უმატებენ 3 მლ პრეპარატს და მორევით აზავებენ. მიღებულ სიროფს ასხამენ ჩარჩოებს შორის 10-15 მლ რაოდენობით თითო ჩარჩო ფუტკარზე. სანკურნალო სიროფი შეაქვთ 3-4 ჯერადად 3-დღიანი ინტერვალით.

4. აეროზოლური მეთოდით (შესხურებით). ყოველ 100 გრ. წყალს უმატებენ 6 მლ. პრეპარატს და ურევენ. მიღებულ ხსნარს ასხურებენ ყოველ ჩარჩო ფუტკარს 10-15 მლ რაოდენობით. სამუშაო სრულდება 3-ჯერადად 3 დღიანი ინტერვალით. ბოლო დამუშავებიდან 14 დღის შემდეგ ფუტკრის ოჯახებს ათვალიერებენ.

თუ აღმოჩნდა ასკოსფეროზით დაავადებული ბარტყი, მკურნალობას იმეორებენ. პროფილაქტიკის მიზნით სრულიად საკმარისია წელიწადში პრეპარატის ორჯერადად გამოყენება.

ფიჭვის წიწვის ექსტრაქტი ვაროატოზის საწინააღმდეგოდ

ფიჭვის წიწვის ექსტრაქტი ჩვენც შეგვიძლია დავამზადოთ. ამისთვის უმჯობესია ადრე გაზაფხულზე შეგროვებული მწვანე წიწვები და კვირტები. ისინი უნდა დავჭრათ კუნძზე ნაჯახით 2-3 სმ-იან ნაჭრებად. კუნძის ქვეშ უმჯობესია დავაფინოთ ბრეზენტი ან პოლიეთილენი, 1კგ დაკეპილ ფიჭვის წიწვებს ესხმება 4 ლ მდუღარე წყალი და კარგად დათბუნებული ინახება 10-12 საათს. 200 გრ. ექსტრაქტი ერევა 3 ლიტრ სიროფს და ეძლევა ფუტკრის ოჯახს იგივე ჯერადობით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფიჭვის ექსტრაქტი ფუტკრის ოჯახზე სტიმულატორად მოქმედებს. გრიგორიევისა და პოლტევის მიხედვით 15-20%-ით ზრდის გაზაფხულზე ბარტყის რაოდენობას. ფიჭის ექსტრაქტის გამოყენების დროს ვაროა კარგავს გამრავლების უნარს, ამიტომ მას ვიყენებ მთელი გაზაფხული აკაციის აყვავილებამდე და შემოდგომაზე ფუტკრის საშემოდგომო კვების დროს.

გადაგეჭდილი სამამლე ბარტყიანი ჩარჩოების ამოცლა და განადგურება

მეთოდის საწყისს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სამამლე ბარტყში 4-ჯერ – 5-ჯერ მეტი ტკიპა შედის კვერცხის დასადებად, ვიდრე სამუშეში. აქედან გამომდინარე, ადრე გაზაფხულზე, როცა ოჯახში ბარტყიანი ჩარჩოების რაოდენობა 4-5-6-ს მოაღწევს, ბუდის შუაში ათავსებენ ასაშენებელ სამამლეუჯრედებიან, ან ჩვეულებრივი ხელოვნური ფიჭის წვრილ ზოლს („ნიმუშს“) მიწებე-

ბულ ჩარჩოს, რომელზედაც ფუტკარი სამამლე უჯრებს აშენებს.

ეს ჩარჩო მასში სამამლე ბარტყის უმეტესობის გადაბეჭდვის შემდეგ ამოაქვთ ოჯახიდან. ამოღებულ სამამლე ბარტყიან ჩარჩოს ადნობენ. უმჯობესია, სამამლე ბარტყი გამოვიყენოთ ცხოველების, ფრინველების ან ფუტკრის საკვებად. ფუტკრის საკვებად ახლად დაბეჭდილი ბარტყი ხელით იჭყლიტება და მიღებული სქელი რძისმაგვარი სითხე ისხმება შავ ფიჭებში და ეძლევა ფუტკრებს. შეიძლება ეს გამონაწური გავასტერილოთ 3 ლიტრიან ქილებში და შევინახოთ შემოდგომისათვის ფუტკრის საკვებად.

ადრე შემოთავაზებული მეთოდი გადაბეჭდილი სამამლე ბარტყის დანით თავის გადაჭრისა და ისევ ოჯახში ჩაბრუნებისა ამჟამად უარყოფილია, რადგან ამ დროს იღუპებიან მხოლოდ ახალგაზრდა ტკიპები, მათი დედები კი ცოცხლად რჩებიან და აგრძელებენ გამრავლებას. გამოცდილი მეფუტკრის თემური ღოღობერიძის მიერ ჩატარებული იყო ცდები გადაბეჭდილ სამამლე ბარტყის ხელით ჩაჭყლეტაზე, რის შემდეგაც ზრდასრული ვაროას ტკიპები მამალი ფუტკრის გამონაწურში იხრჩობიან.

ასე რომ, თეიმურაზის რჩევით შეგიძლიათ ახლად გადაბეჭდილი სამამლე ბარტყი თითებით ჩაჭყლიტოთ უჯრებში და ჩააბრუნოთ უკან ოჯახში. მას მუშა ფუტკრები თვითონ გადახსნიან, ამოწოვენ და გაასუფთავებენ. ასეთი სამამლე უჯრედებიანი ფიჭები აუცილებლად უნდა იყვნენ ზემოდან მონიშნული და ეს ოპერაციები ჩატარდეს ორ კვირაში ერთხელ. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელს შევუწყობთ ფუტკრის ოჯახში ვაროას ტკიპების გამრავლებას. ერთსა და იმავე პირობებში ვაროა ტკიპების გამრავლების კოეფიციენტი სამამლე ბარტყში 4-5-ის ტოლია, იმ დროს როცა სამუშე ბარტყში გამრავლების კოეფიციენტი მხოლოდ 2-ია.

ნოზემატოზის პროფილაქტიკა გიომეთოდებით

ნოზემატოზი ფუტკრის ძალიან გავრცელებული და საშიში დაავადებაა. საქართველოში იგი ძირითადად ფარული ფორმით მიმდინარეობს ყველა საფუტკრეში. ჩვენთან ის კლასიკური ფორმით არ ვლინდება (ფაღარათით დასვრილი სკის კედლები, ჩარჩოები და მისაფრენი ფიცარი. ადრე გახაფხულზე ზანტად მცოცავი ფუტკარი და ერთი მუჭა ბარტყი).

მეფუტკრეები ამ დაავადების პროფილაქტიკასა და მკურნალობას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. არადა ეკონომიკური დანაკლისი ფუტკრის ნოზემატოზისგან ძალიან დიდია. ყურადღება უნდა მივაქციოთ ფიჭებისა და სკების დეზინფექციას. ფუტკრები ნოზემატოზით დაავადებულ დედა ფუტკრებს გაზაფხულზე მასობრივად ცვლიან, რითაც ფერხდება ოჯახის საგაზაფხულო განვითარება.

მწარე აბზინდის ნაყენი და ექსტრაქტი ნოზემატოზის პროფილაქტიკისთვის

ნოზემატოზის საწინააღმდეგოდ რუსი მეფუტკრეები იყენებენ მწარე აბზინდის სპირტის ნაყენს. ჭურჭელს, რომელსაც თავი კარგად უნდა ეხურებოდეს, სანახევროდ ავსებენ მწარე აბზინდის (რომელსაც ასევე ვერცხლისფერ აბზინდას ან სამკურნალო აბზინდას ეძახიან) დაკეპილი მასით. ჭურჭელი შეივსება ღვინის სპირტით, დროდადრო თუ შევანჯღრევთ, უკეთესია.

ერთ კვირაში ნაყენი მზადაა. ერთი სუფრის კოვზი ნაყენი ერევა ერთ ლიტრ სიროფს, რომელიც ყოველ ჩარჩო ფუტკარზე 100-150 მლ-ის ოდენობით ეძლევა ფუტკრის ოჯახს 3-ჯერ 5-7 დღის ინტერვალით.

ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ აბზინდის ნაყენი, რომელიც შემდეგნაირად მზადდება: ბაღის სეკატორით ვჭრით მწარე აბზინდას ორ-სამ სანტიმეტრიან ნაჭრებად და ვავსებთ 3 ლიტრიან ქილას. მას ესხმება მდუღარე წყალი, ეხურება პოლიეთილენის თავსახური და თბუნდება. გაცივების შემდეგ 0,5 ლ ექსტრაქტი ერევა 30-40 ლ სიროფს.

სამკურნალო სიროფი ზემოაღნიშნული დოზებით და ჯერადობით ეძლევა დაავადებულ ფუტკრის ოჯახს. ჩემი რჩევა იქნება, ნოზემატოზის პროფილაქტიკური მკურნალობა ჩაატაროთ ფუტკრის ოჯახის საზამთროდ მზადებისას და ადრე გაზაფხულზე.

იუზა გიგაშვილი;
წყარო: bestbee.ge
სტილი დაცულია

მეცნიერები და ექიმები გვაფრთხილებენ, გვირჩევენ, გვთავაზობენ!

რა მოუვა ორგანიზმს, თუ ძილის წინ 1 ჭიქა რძეს დალევთ?

რძე არის სასმელი, რომელიც უძველესი დროიდან ცნობილია თავისი სასარგებლო თვისებებით.

ინდურ მითოლოგიაში არსებობს რწმენა„რძის ოკეანის“ შესახებ, რომელიც ადამიანებს უკვდავებასა და ძალას ანიჭებდა. აფრიკული მითები მოგვითხრობს, რომ სამყარო სწორედ რძის წვეთიდან დაიბადა. ბერძნული ლეგენდის თანახმად კი, ჰერკულესი მხოლოდ რძითა და ყველით იკვებებოდა.

რძე დიდი რაოდენობით ფოსფორს, კალციუმს და ცილებს შეიცავს. ის გაციებისა და ვირუსების სამკურნალოდ გამოიყენება და რეკომენდებულია იმუნიტეტის გასაძლიერებლად. შესაძლოა გსმენიათ, რომ ძილის წინ ერთი ჭიქა რძის დალევა კარგია ზოგადი ჯანმრთელობისთვის და ძილის გასაუმჯობესებლად, ასევე შფოთვისა და დაძაბულობის მოსახსნელად. მოდით, გავარკვიოთ, როგორ შეიძლება დაგეხმაროთ რძე დაძინებაში და რა მოხდება, თუ მას ყოველდღე დალევთ.

რძე შეიცავს მელატონინს და ტრიპტოფანს – ეს ნივთიერებები ნამდვილად აუმჯობესებენ ძილის ხარისხს. თუ ჭიქა რძეს ყოველ საღამოს, ძილის წინ დალევთ, მელატონინი თქვენს ორგანიზმს ძილისთვის „მოაწესრიგებს“ და დაგეხმარებათ მის დარეგულირებაში. ტრიპტოფანი ზრდის სეროტონინის, ბედნიერების ჰორმონის გამომუშავებას, რომელიც ასევე დაგეხმარებათ დაისვენოთ და უკეთ დაიძინოთ.

სასარგებლო შემადგენლობის გარდა, ძილის წინ ჭიქა რძეს ფსიქოლოგიური ეფექტიც აქვს: თბილი სასმელი ღამით, რომელსაც ბავშვობაში გვასმევდნენ, დადებითად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, ამშვიდებს და მოქმედებს როგორც ერთგვარი საძილე აბი.

კიდევ რისთვის არის რძე კარგი?

თუ ერთი ჭიქა რძის დალევას ძილისწინა ჩვევად აქცევთ, გარკვეული პერიოდის შემდეგ აუცილებლად შეამჩნევთ სასიამოვნო ცვლილებებს ორგანიზმში. რძის რეგულარული მიღება ამაგრებს ძვლებსა და კბილებს, რადგან შეიცავს კალციუმს, D ვიტამინს და ფოსფორს – ისინი ხელს უწყობენ სხეულის ჩონჩხის და სხვა ძვლოვანი სტრუქტურების გაძლიერებას.

რძე ხელს უწყობს წონის კონტროლს. რძის დალევა დაგეხმარებათ ზედმეტი წონის დაკლებაში და წონის შენარჩუნებაში. სასმელი შეიცავს პროტეინს, რომელიც ხელს უწყობს წონის დაკლების პროცესის რეგულირებას.

რძე აუმჯობესებს ტვინის მუშაობას, რადგან შეიცავს ომეგა-3 ცხიმოვან მჟავებს, რომლებიც დადებითად მოქმედებს ტვინზე და ასევე ამცირებს მეხსიერების დაქვეითებისა და ალცჰეიმერის დაავადების რისკს.

რატომ შეიძლება გაზარდოს ანტიბიოტიკების გამოყენებამ ნაწლავის ანთებითი დაავადების რისკი და როგორ უნდა აღიდგინოთ მიკრობიომის მრავალფეროვნება

ახალ კვლევის მიხედვით, ანტიბიოტიკების ხშირმა გამოყენებამ შეიძლება გაზარდოს ნაწლავის ანთებითი დაავადებების რისკი, როგორიცაა კრონის დაავადება და წყლულოვანი კოლიტი.

40 წელზე უფროსი ასაკის ადამიანებში ანტიბიოტიკების ხშირმა გამოყენებამ შეიძლება გაზარდოს ნაწლავის ანთებითი დაავადების განვითარების რისკი, ნათქვამია კვლევაში, რომელიც გამოქვეყნდა ონლაინ ჟურნალში Gut. ისინი აღნიშნავენ, რომ რისკი მცირდება ანტიბიოტიკების გამოყენების შეწყვეტის შემდეგ. ანტიბიოტიკები აუცილებელია გარკვეული შემთხვევების დროს, მაგრამ მათი გამოყენება უნდა ითვალისწინებდეს ნაწლავის ანთებითი დაავადების რისკს.

მკვლევარებმა გამოიყენეს 10 წელზე უფროსი ასაკის ადამიანების სამედიცინო მონაცემები, რომლებსაც არ ჰქონდათ ნაწლავის ანთებითი დაავადების დიაგნოზი კვლევის პერიოდის დასაწყისში. კვლევაში 6 მილიონზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარე კვლევის პერიოდში, 5,5 მილიონზე მეტ ადამიანს ერთხელ მაინც დაენიშნა ანტიბიოტიკი. დაფიქსირდა წყლულოვანი კოლიტის 36,017 ახალი დიაგნოზი და კრონის დაავადების 16,881 შემთხვევა.

მკვლევარებმა განაცხადეს, რომ იმ ადამიანებთან შედარებით, რომლებიც არ იყენებდნენ ანტიბიოტიკებს, ადამიანებს, რომლებიც იტარებდნენ ანტიბიოტიკების მინიმუმ ერთ კურსს, უფრო მეტად უვითარდებოდათ ნაწლავის ანთებითი დაავადებები ასაკის მიუხედავად. თუმცა, ხანდაზმული ასაკი დაკავშირებულია უფრო მაღალ რისკთან.

კვლევით ასევე დაადგინეს, რომ ნაწლავის ანთებითი დაავადებების განვითარების რისკ – ფაქტორი იყო კუმულაციური და შემდგომმა ანტიბიოტიკების კურსებმა გაზარდა რისკი 11% – 14%-ით. რისკები მცირდება ანტიბიოტიკების მიღების შეწყვეტიდან 1-2 წლის შემდეგ.

მკვლევარების თქმით, ეს კვლევა ამყარებს იმ აზრს, რომ ნაწლავის მიკრობიომს შეიძლება ჰგადამწყვეტი როლი ჰქონდეს ნაწლავის ანთებითი დაავადებების განვითარებაში და რომ ბევრ ანტიბიოტიკი ცვლის ნაწლავის მიკრობიომის შემადგენლობას.

ანტიბიოტიკები გამოსავალია მრავალი ინფექციური დაავადების დროს. თუმცა, მათ მრავალი მავნე ზემოქმედება აქვთ ორგანიზმზე მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში.

ზოგიერთ საკვებს შეუძლია შეამციროს ანტიბიოტიკების გვერდითი მოვლენები. მიკრობიომის ბალანსის აღსადგენად:

მიიღეთ პრობიოტიკები – ანტიბიოტიკების მიღებამ შეიძლება შეცვალოს ნაწლავის მიკრობიოტა, რაც იწვევს იწვევს ანტიბიოტიკებთან ასოცირებულ პრობლემებს. თუმცა, პრობიოტიკები, როგორც წესი, თავად ბაქტერიებია, ისინი ასევე შეიძლება განადგურდეს ანტიბიოტიკებით, თუ მათი ერთად მიღება მოხდება. ასე რომ, თუ მათ ერთდროულად იღებთ, რეკომენდებულია პრობიოტიკების გამოყენება ანტიბიოტიკის დოზის მიღებიდან 4-6 საათის შემდეგ. კვლევამ აჩვენა, რომ პრობიოტიკების მიღება ანტიბიოტიკების მიღების დროს ან მის შემდეგ დაგეხმარებათ შეინარჩუნოთ ნაწლავის მიკრობიომის მრავალფეროვნება.

მიიღეთ ფერმენტირებული საკვები.

მიირთვით ბოჭკოს შემცველი პროდუქტები.

საჭიროა პრებიოტიკების მიღება, რაც წარმოადგენს პრობიოტიკების საკვებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი საკვები სასარგებლოა ანტიბიოტიკების მიღების დროს და მის შემდეგ, ზოგიერთი მათგანის მიღება უნდა შეიზღუდოს.

მაგალითად, უნდა მოერიდოთ გრეიფრუტის ჭამას ან გრეიფრუტის წვენის დალევას, რადგან ეს ხელს უშლის ორგანიზმის მიერ მედიკამენტების სწორად დაშლას.

კვლევა აჩვენებს, რომ გრეიფრუტის წვენს ასევე შეუძლია გავლენა მოახდინოს ზოგიერთი ანტიბიოტიკის ეფექტურობაზე.

კალციუმით გამდიდრებულმა საკვებმა და სასმელებმა, როგორიცაა კალციუმით გამდიდრებული ფორთოხლის წვენი, ასევე შეიძლება გავლენა იქონიოს ანტიბიოტიკების შეწოვის პროცესზე.

რა გავლენას ახდენს ადამიანზე თაფლის ყოველდღიური მოხმარება

ესპანეთის გრანადის უნივერსიტეტის ექსპერტებმა შეაფასეს თაფლის მოხმარების გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე.

კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია ჟურნალში Nutrients.

თაფლის მოხმარება დაკავშირებულია ანთების საწინააღმდეგო, ანტიოქსიდანტურ, ანტივირუსულ და ანტიბაქტერიულ ეფექტებთან. მიმდინარე კვლევაში მეცნიერებმა განიხილეს 48 კვლევა, რათა დაედგინათ თაფლის ზუსტი გავლენა სხეულზე.

საერთო ჯამში, 1985 წლიდან 2022 წლამდე ექსპერიმენტებში 3,5 ათასზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. გამოიკვლიეს სხვადასხვა სახის თაფლი, რომელიც გამოიყენება ადგილობრივად ან პერორალურად, სხვა ნივთიერებებთან შერწყმის გარეშე.

ასე რომ, 70 გრამი ნატურალური თაფლის ყოველდღიური მოხმარება ერთი თვის განმავლობაში იწვევს ტრიგლიცერიდების, საერთო ქოლესტერინის დონის შემცირებას, სხეულის წონის და ცხიმის გროვების დაქვეითებას, ძილის ხარისხის გაუმჯობესებას და ჭრილობების შეხორცების დაჩქარებას. გარდა ამისა, პოსტმენოპაუზურ და დიაბეტიან ქალებში გარკვეული სახის თაფლის გამოყენებამ განაპირობა წნევის დაქვეითება.

მეცნიერთა აზრით, ადამიანის ორგანიზმზე თაფლის სასარგებლო მოქმედება დაკავშირებულია პროდუქტის შემადგენლობაში ფენოლური კომპონენტების და ფლავონოიდების მაღალ კონცენტრაციასთან.

როდის არის აუცილებელი D ვიტამინის დანამატების მიღება

D ვიტამინი სიცოცხლისთვის აუცილებელი ელემენტია.

მიუხედავად იმისა, რომ D ვიტამინი ზოგადად სასარგებლოა, არსებობს პოტენციური გვერდითი ეფექტები, ამიტომ დანამატები გამოიყენება პაციენტებში, რომლებსაც აქვთ D ვიტამინის დაბალი დონე და ვისაც ესაჭიროება D ვიტამინი. სანამ შეწყვეტთ დანამატის მიღებას, დარწმუნდით, რომ არ გაქვთ D ვიტამინის დეფიციტი.

თუ იღებთ დანამატებს, შეწყვეტამდე აუცილებლად შეამოწმეთ D ვიტამინის დონე.

ჯგუფები, რომლებსაც სჭირდებათ D ვიტამინი ან იმყოფებიან D ვიტამინის დეფიციტის რისკის ქვეშ, მოიცავს: პოსტმენოპაუზის მქონე ქალებს, მამაკაცებსა და ქალებს რომლებიც იღებენ სტეროიდს ხანგრძლივად, ხანდაზმულებს, თირკმელების ქრონიკული დაავადების მქონე ადამიანებს, პარათირეოიდული დაავადების მქონე ადამიანებს, პირებს, რომლებსაც სიმსუქნე აქვთ.

თუ არ ხართ დარწმუნებული, ხართ თუ არა D ვიტამინის დეფიციტის რისკის ქვეშ, სთხოვეთ ექიმს შეამოწმოს D ვიტამინის დონე.

D ვიტამინის დეფიციტის რისკის ქვეშ მყოფი ხანდაზმული პაციენტებისთვის, დანამატებმა შეიძლება დიდი გავლენა მოახდინოს. დანამატები ხელს უწყობენ ოსტეომალაციის თავიდან აცილებას, ამცირებენ ძვლის სიმყიფეს, რაც ხელს უწყობს მოტეხილობების პრევენციას.

ძვლის სიმკვრივის გაუმჯობესება არ არის ერთადერთი გზა მოტეხილობების თავიდან ასაცილებლად – განსაკუთრებით ხანდაზმულ პაციენტებში. D ვიტამინს ასევე შეიძლება ჰქონდეს უზარმაზარი სარგებელი კუნთების ფუნქციონირებისთვის.

თუ გაწუხებთ D ვიტამინის დეფიციტი, სთხოვეთ ექიმს, შეამოწმოს D ვიტამინის დონე. თუ დონე დაბალია საჭირო ხდება დანამატების მიღება. განმეორებითი ტესტირება კი რვი-დან 12 კვირამდე უნდა ჩატარდეს, რათა დარწმუნდეთ, რომ არ აჭარბებთ დოზას. თუ ტესტირება აჩვენებს, რომ D ვიტამინის დონე ნორმალურია, თქვენ უნდა გაიმეოროთ ტესტირება ყოველ ორ-სამ წელიწადში ერთხელ, რათა დარწმუნდეთ რომ არ გაქვთ მნიშვნელოვანი ცვლილებები ჯანმრთელობაში.

სხვადასხვა დაავადებას სჭირდება D ვიტამინის სხვადასხვა დოზა. თუ გაქვთ თირკმელების ქრონიკული დაავადება ან პარათირეოიდული დაავადება, ჰკითხეთ თქვენს თირკმელების სპეციალისტს ან ენდოკრინოლოგს D ვიტამინის ტიპისა და დოზის შესახებ.



მეცხრედ მოიპოვეს ჩემპიონის ტიტული

მიმდინარე წლის 9-10 სექტემბერს თბილისში ჩატარდა საქართველოს ერონული ჩემპიონატის მეორე დასკვნითი ტურის შეხვედრები ქვიშის (პლიაჟის) ხელბურთში ქალთა გუნდებს შორის. აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობას იღებდნენ პირველ ტურში (ჩატარდა ქ. ბათუმში) გამარჯვებული უძლიერესი გუნდები: ყვარლის, თბილისის ორი გუნდი, გორის და ბათუმის ნაკრები გუნდები.

შეხვედრები, რომელიც კუს ტბაზე ჩატარდა, საკმაოდ საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობდა.

ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ყვარლისა და ბათუმის ქალთა ნაკრები გუნდები და თამაში საკმაოდ დრამატულად წარიმართა.

პირველი სეტი მოიგო ჩვენმა გუნდმა, მეორე სეტში კი ბათუმელები იგებდნენ შეხვედრას ბოლო წუთებამდე. სწორედ აქ იჩინა თავი ჩვენი ნაკრების გამოცდილებამ, მათ ბოლო წუთზე ორი ორქულიანი ბურთი გაუტანეს მოწინააღმდეგეს და შეხვედრაც ჩვენი გუნდის გამარჯვებით დასრულდა.

ამრიგად ყვარლის სასპორტო სკოლის ხელბურთელქალთა ნაკრებმა გუნდმა ზედიზედ მეცხრედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედლები.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი გუნდი ქვეყნის შვიდგზის ჩემპიონია კლასიკურ ხელბურთშიც, რაც მწვრთნელების ზურაბ ხარებაშვილისა და გოჩა ღონიაშვილის უდიდესი დამსახურებაა.

ჩვენი ნაკრების ღირსებას იცავდნენ: ლიკა აფციაური, ნათია ამონაშვილი, ქეთი კუნელაშვილი, ანი სურამლიშვილი, ნინო საბაშვილი, მარიამ თავღორაშვილი, მარი მიხეილიძე, ბელა ტარტარაშვილი, თინათინ ქიტესაშვილი, დეა ქორორაშვილი, მარიამ ჩაჩუა და ელიზავეტა ჩხაიძე.

გილოცავთ ჩემპიონობას ჩვენო საამაყო გოგონებო, გისურვებთ წარმატებებს შემდგომ ჩემპიონატებშიც.

ალექსანდრე გიგილოშვილი

რა კავშირშია წიწაკა კიბოსთან და თრომბებთან?

ტკბილი წიწაკა ადამიანის შემოქმედებაა, ის მეცნიერული ჩარევის შემდეგ, ჩვეულებრივი პატარა წიწაკისგან მიღებული ბოსტნეულია. საბჭოთა ქვეყნებში მას ბულგარულს ეძახიან, რადგან მასში შემავალი ქვეყნები სწორედ ბულგარეთიდან მარაგდებოდნენ ამ ბოსტნეულით. დღეს უკვე ბულგარული წიწაკა ბევრ ქვეყანაში მოჰყავთ, მათშორის საქართველოშიც. ქართული ბულგარულის სეზონის ზაფხული და შემოდგომის დასაწყისია, წელიწადის სხვა დროს კი ჩვენს ქვეყანაში იმპორტირებული ბულგარული წიწაკა იყიდება. ბულგარულ და მწარე წიწაკებში იდენტური ინგრედიენტებია, ერთის გამოკლებით. მწარე წიწაკა შეიცავს კაფსიცინს, ნივთიერებას, რომელიც მის სიმწარეს განაპირობებს. არსებობენ კაფსიცინ დამოკიდებული ადამიანები, რომლებიც მწარე საკვების მიღებისას სიამოვნებას განიცდიან.

მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ კაფსიცინის მოყვარულები, ექტრემალი ადამიანები არიან. სწორედ კაფსიცინია მწარე და ტკბილი წიწაკის განმასხვავებელი ნივთიერება. სხვა მხრივ ორივე წიწაკაში თითქმის ერთნაირადაა სხვადასხვა ნივთიერებები, ელემენტები და ვიტამინები. არსებობს მოსაზრება, რომ მწარე წიწაკა კუჭ-ნაწლავს აზიანებს. ეს არ შეესაბამება სიმართლეს. მწარე წიწაკა უკუნაჩვენებია უკვე დაზიანებული კუჭ-ნაჭლავის მწონე პაციენტებისთვის, ანუ თუ თქვენ მაგალითად კუჭის წყლული გაქვთ, ბუნებრივია მწარე წიწაკა მასზე ცუდად იმოქმედებს. თუმცა ჯანსაღი ორგანიზმის მქონე ადამიანისთვის წიწაკის შეზღუდვა არ არის აუცილებელი. ტკბილი წიწაკა კი ნებისმიერი ადამიანისთვის დასაშვებია. მასში შემავალი ლუთეინი მხედველობას აუმჯობესებს. აღნიშნული ნივთიერება მეცნიერების მტკიცებით ხელს უწყობს ძუძუსა და სწორი ნაწლავის კიბოს პრევენციას, ტკბილი, ისევე როგორც მწარე წიწაკა მდიდარია ცე ვიტამინით. მასში 6-ჯერ მეტი ცე ვიტამიანი, ვიდრე ლიმონში. სწორედ წიწაკა იყო პირველი მცენარე, რომლიდანაც მოხდა აღნიშნული ვიტამინის გამოყოფა. ნობელის პრემიის ლაურეატმა, უნგრელმა ალბერტ სენტ დორმა გამოყო ცე ვიტამინი წიწაკიდან, მან ასევე წიწაკაში აღმოაჩინა პე ვიტამინიც. ამ მცენარეში არსებული ეს ორი ვიტამინი ერთად, უზრუნველყოფს სისხლის გათხელებას და თრომბების წარმოქმნის პრევენციას. საინტერესოა რამდენადაა შენარჩუნებული ყველა ეს სასარგებლო მოქმედება თერმულად დამუშავებულ ამ პროდუქტში. ლაბორატორიული კვლევის მიხედვით, ნედლ ბულგარულში სამჯერ მეტი ცე ვიტამინი აღმოჩნდა, ვიდრე მოხარშულში, ორთქლზე მომზადებულსა და გაყინულში. თუმცა ბულგარული იმდენად მდიდარია ამ ვიტამინით, რომ შემცირებული რაოდენობაც საკმარისია ორგანიზმზე დადებითი გავლენის მოსახდენად. თუმცა აუცილებელია იცოდეთ, რომ ბულგარული წიწაკა არ იყოს დამწიფებამდე მოკრეფილი, რადგან ასეთ შემთხვევაში მასში სარგებელი ნაკლებია. ამიტომ მხოლოდ სეზონური წიწაკა შეიძინეთ და ისე მიირთვით.

ჩვენი ვალია გავაუმჯობესოთ პურის ხარისხი

ნათქვამია: უკეთესად რომ ვიცხოვროთ, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს, – მშენებელმა უნდა აშენოს, მხატვარმა მოხატოს, მევენახემ ვენახს მოუაროს, მცხობელმა პური აცხოს და ა.შ. ჩვენს ყურადღებას ამჯერად შევაჩერებთ რაონში არსებულ პურის საცხობ ობიექტებზე. მუნიციპალიტეტში დღეს არსებული საცხობების მიერ გამომცხვარი პურის ხარისხის მდგომარეობაზე გვესაუბრება ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე პურსაცხობის ხელმძღვანელი, ბატონი გიორგი სხირტლაძე, რომელიც უფრო ვრცელ ინფორმაციას მოგვაწვდის პურთან დაკავშირებულ პრობლემებზე და რომელიც ყოველდღიურად ზრუნავს და ფიქრობს, რომ მოსახლეობამ მიირთვას ხარისხიანი პური.

– ბატონო გიორგი, თუ შეიძლება გვითხარით თქვენი მოკლე ბიოგრაფიის შესახებ, – საიდან ხართ წარმოშობით, როგორ ოჯახში დაიბადეთ, როგორი ბავშვობა გქონდათ, რა იყო თქვენი ბავშვობის ჩანაფიქრი და როგორ მოხვდით ამ სამსახურში?

– წარმოშობით რაიონის მკვიდრი ვარ, სოფელ ბალღოჯიანიდან. დავიბადე მართლმადიდებელ მშრომელ ოჯახში, დედა მასწავლებელი, მამა აწ გარდაცვლილია, სპეციალობით მეფუტკრე იყო. როგორც ყველა სოფლელ ბავშვს, მეც უდარდელი ბავშვობა მქონდა. ჩემი მომავალი ფიქრი სწავლა და სამშობლოს სამსახური იყო. მინდოდა ისეთი საქმე მეკეთებინა, რაც ადამიანებზე ზრუნვა იქნებოდა.

ჩემი ფიქრი რეალობად იქცა, – მამის საქმეც გავაგრძელე და პურის საცხობსაც ჩავუდექი სათავეში, ვზრუნავ ხალხის დაპურებაზე.

– არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ამ ბოლო დროს და საერთოდაც ზოგიერთი პურსაცხობებიდან მაინც და მაინც ხარისხიან გამომცხვარ პურს არ იღებს ჩვენი მოსახლეობა. არის მომენტები, რომ იტყვი, – რა კარგი პური გამოუცხვიათო, არის მომენტებიც, რომ ცხვება გაუფუარი ცომის პური, ან ატკრეცილი და ცხობადაუმთავრებელი, რაც ჩვენი მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს. თქვენი კომენტარი.

– მოგეხსენებათ სოციალური მდგომარეობა აისახება ჩვენს საქმიანობაზეც, ხანდახან არასტაბილური დენი, გაზი, წყალი, ეს ყველაფერი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ხარისხიანი პროდუქციის წარმოებისთვის.

მეც და ყველა აქ დასაქმებული ყველანაირად ვზრუნავთ, რომ ეს ყველაფერი როგორმე სტაბილურად მოვაწესრიგოთ საცხობში, მაგრამ არის ხოლმე ჩავარდნები და გაუთვალისწინებელი მომენტებიც, რაც აისახება პურის ხარისხზეც.

– პურის ფასზეც მინდა გკითხოთ, მეზობელ რაიონებთან შედარებით ჩვენს ზოგიერთ პურსაცხობში გამომცხვარი პურის ფასი მაღალია, ისიც ვიცით, რომ თქვენთნ გამომცხვარ პურს ძველ ფასში აწვდით მოსახლეობას. ეს კი, მოგეხსენებათ, განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი ოჯახისთვის დიდი შელავათია. რას მივაწეროთ თქვენი ეს ჰუმანური ქმედება?

– მიუხედავად იმისა, რომ მეზობელ რაიონებში პურის ფასი შედარებით აწეულია, ჩვენ ვინარჩუნებთ ძველ ფასს და შეძლებისდაგვარად ხარისხსაც, რითაც რაიონის მოსახლეობას დიდ თანადგომას ვაძლევთ.

– ხომ უნდა იყოს დამოკიდებული პურის ფასი ხარისხიან ფქვილზე, მაშინ, როცა ხარისხიანი და უხარისხო ფქვილით გამომცხვარ პურში მყიდველი იხდის ერთსა და იგივე ფასს. ამ დროს კი შესაძლებელია ვიღაც-ვიღაცეები ითბობდნენ ხელს. თქვენ რად გვეტყოდით?

– მერწმუნეთ, რომ ფქვილი ნამდვილად ხარისხიანი შემოდის და არანაირი დანამატებით და ვიტამინებით არ არის გაჯერებული.

ფქვილი ადგილობრივი ხორბლით კომბინატში იფქვება და ასეთი ფქვილით გამომცხვარ პურს ვანვდით რაიონის მოსახლეობას.

– თუ მოწმდება გამომცხვარი პურისა და ობიექტზე შეტანილი ფქვილის ხარისხი და ვისგან ხდება ეს? წელიწადში რამდენჯერ ხდება შემოწმება?

– ფქვილის ხარისხი მოწმდება ხორბლიდან გამომდინარე. ხარისხიანი ხორბლის ფქვილს ამოწმებს სურსათის უვნებლობის სამსახური წელიწადში ორჯერ მაინც.

– რას ეტყოდით და რას ურჩევდით თქვენს კოლეგებს ამ საკითხებთან დაკავშირებით, რომ მოსახლეობა ყოველდღიურად ელოდება მიიღოს ხარისხიანი პური მცხობელებისგან და არა მარტო მცხობელებისგან?

– ჩემი კოლეგები და ყველა, ვინც ამ სფეროში ვმუშაობთ და ვაწარმოებთ პროდუქტს, რომელიც ყოველდღე სჭირდება ცოცხალ ადამიანს, ვალდებულნი ვართ ვიზრუნოთ ცხობის ხარისხზე, რათა მომხმარებელი უკმაყოფილო არ დარჩეს. მომავალში ყველანაირად ვეცდებით, მისი ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებაზე.

ესაუბრა
დალი ტატულიშვილი

ძაღლი

(მოთხრობა)



ბიჭს ქუჩაში ძაღლი აედევნა.

– წადი პატრონთან! – უთხრა ბიჭმა. დაიხარა, თავზე ხელი გადაუსვა და სახლისკენ

მიმავალ გზას გაუყვა. გულმა უკან გახედა... ძაღლი იდგა და რაღაცნაირი,თბილი

თვალებით უყურებდა.

...დილით,ბიჭს გაბრაზებული მამის ხმა შემოესმა: – საიდან მოეთრა ეს უპატრონო!

– ამ სიტყვებს ქვის დაცემის და ძაღლის წკმუტუნის ხმა მოჰყვა...

ბიჭი ლოგინიდან წამოხტა. ფანჯრიდან გაიხედა. „ნაცნობი'' ძაღლი ეზოს კარისკენ

გარბოდა. გაბრაზებული მამა კი,უკნიდან,ჯოხის ქნევით მისდევდა.

– გაანებე თავი, ძაღლი არ გვყავს,იყოს, ეტყობა უპატრონოა!-სთხოვა ბიჭმა.

– ძაღლი თუ მინდოდა, მოვიყვანდი! – მიუგო უუმური ხმით კაცმა.

– „მაინც მოვა!'' – გაიფიქრა ბიჭმა.

საღამოს, ვახშმის დროს, ოჯახს ყეფა შემოესმა...ბიჭს გაელიმა...

– მოთრეულა! – ბოღმიანი ხმით ჩაილაპარაკა კაცმა და წამოდგა.

– იყოს, არ გააგდო! – სთხოვა ცოლმა. ბიჭი დაიძაბა. მამის პასუხს ელოდა...

– იყოს არა და! – შეუბუხუნა ცოლს და გარეთ გავიდა.

– გოგიავ! რამდენს გეძახდი,ძაღლს რომ ყეფა არ აეტეხა,ვერ გაგაგებინებდი! – მოისმა

მეზობელი კაცის ხმა, რომელიც, ძაღლის გასაგდებად გარეთ გასულ გოგიასთან

ერთად, სახლში შემოვიდა.

– „მაინც გავაგდებ!'' – გაიფიქრა ოჯახის უფროსმა. ბიჭი გარეთ გავიდა. კუდის

ქიცინით შეგებებულ ძაღლს პური დაუგდო. – იყავი ჩემთან, შე საცოდაო, ეტყობა,

პატრონი მართლა არ გყავს. მე ვიქნები შენი პატრონი.

– როგორც ადამიანს, ისე დაელაპარაკა და თავზე ხელი გადაუსვა.

მეორე დღეს,ბიჭი რომ სახლიდან გასული დაიგულა,გოგიამ ძაღლს პურის

ნატეხი გადაუგდო. მადლიერი თვალებით შეხედა ძაღლმა კაცს...პურს პირით

დასწვდა.

– ფუი,შენი! – ტომარაში ჩაგდებულ ძაღლს მიაფურთხა და აფართხალებული

ტომარა მანქანის საბარგულში ჩააგდო...

.... მანქანა დიდხანს ატარა. ტყის ნაპირზე გააჩერა...ტომარა საბარგულიდან

გადმოიღო... მანქანაში ჩაჯდა...წკავწკავმა, რაღაცნაირად, გული შეუტოკა... გადმოვიდა...

პირმოკრულ ტომარას თავი გაუხსნა... ძაღლი ტომრიდან გამოვარდა...გაიქცა... კაცმა

მანქანა დაძრა... სარკიდან გაიხედა. ძაღლი უკანა თათებზე იდგა და მადლიერი

თვალებით მანქანისკენ იყურებოდა...

ორი დღის შემდეგ, ცოლმა მორიდებით უთხრა: – გოგი,ზამთარი კარს მოგვდგომია,

შეშა რომ აღარ გვაქვს, რა ვქნათ, კაცო! ვიყიდოთ თუ....

– ვიყიდოთ არა! ხვალ ბილეთს ავიღებ, ტყეში წავალ და „ტაჭკით'' მოვიტან.

მეორე დღეს,კაცმა ურემში შეაბა ცხენი...ტყეში შევიდა. დანომრილი ხე მოჭრა,

აკაფა,ურემზე დადო და იგრძნო, შარვლის ტოტზე რაღაც ექაჩებოდა. დაიხედა,ძაღლი

იყო...ხელში ნაჯახი შეათამაშა და... ძაღლის უკან, ყალყზე შემდგარ, მისკენ საკბენად

გამზადებული გველის თავზე დაუშვა...

გაძვალტყავებული ძაღლი კუდს აქიცინებდა და თბილი თვალებით უცქერდა

გადარჩენილ გოგიას.

– ჭამე! – პარკიდან ამოღებული პურის ნატეხი, ძაღლმა ჰაერში დაიჭირა და....

კაცი ურემზე ავიდა... კოფოზე დაჯდა... „ცოდოა, ფეხით როგორ უნდა მდიოს!''

– გაიფიქრა...

– მოდი, ძაღლო! – უთხრა და კოფოზე ხელი დაატყაპუნა. თითქოს, შეპატიჟებას

ელოდაო, ძაღლი ურემზე ახტა და კოფოზე წამოწვა. კაცმა ზურგზე ხელი გადაუსვა,

დაფხანა...

საღამოთი, სამსახურიდან დაბრუნებულ ბიჭს ძაღლი კუდის ქნევით შეეგება,

მკერდზე შეახტა.

– ვიცოდი, რომ მოხვიდოდი! – უთხრა და თავზე ხელი გადაუსვა.

სახლში შესულმა, მაგიდასთან მჯდარ მამას სთხოვა: – იყოს,რა,მამა,კარგი ძაღლია,

რას დაგვიშავებს?!... – იყოს! – უთხრა კაცმა და ლუკმა ჩაყლაპა. „იყოს, მართლაც,

რას დაგვიშავებს, კარგის მეტს რას გაგვიკეთებს!'' – გაიფიქრა.

მერე პურის ნატეხი აიღო სუფრიდან, შვილს მიაწოდა და უთხრა:

– მიდი, ძაღლს დაუგდე! გახარებული ბიჭი გარეთ გავიდა....

– კარადიდან ჯამი გამოიღე, ძაღლისთვის საჭმელი რომ ჩავასხათ-ხოლმე!-უთხრა

კაცმა ცოლს. გაოცებული ქალი სკამიდან წამოხტა...

ბიჭი ოთახში შევიდა... რაღაც სითბო იგრძნო... სახლში განსხვავებული სითბო

ტრიალებდა... მამა მადიანად ილუკმებოდა და თან ჩუმად ღიღინებდა...

დედას ხელში ჯამი ეჭირა და ღიმილით შესცქეროდა აღიღინებულ ქმარს...

იზოლდა იოსებიანი

გაზეთიხელმძღვანელობსთავისუფალიპრესისპრინციპით.დამფუძნებელიაყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი". გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86